# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 4 აპრილი, 2009 წელი.

№ 64 (6165)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




## იცოდეთ: სხვისი მამლობა ჩვენი დედლობის ბრალია!

9

**ნაცნობ უცნობს – უცნობი ნაცნობისგან**

*ეს თამამი, გამორჩეული ხელწერის ლექსები რედაქციამ ხელმოუწერლად მიიღო. ავტორი ვინაობას არ გვიმხელს, თუმცაღა ცხელ გულზე დაწერილი მართალი პუბლიცისტური სტრიქონები სამზეოზე გამოტანას ნამდვილად იმსახურებს.*

*დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს... დროთა განმავლობაში, ალბათ, ავტორის ვინაობაც გაირკვევა.*

## ამერიკაში მცხოვრები ქართველების მოსაზრებები ცხრა აპრილის წინ...



3




2

## სამოქალაქო დაპირისპირება და სისხლისღვრა დაუშვებელია!

## ეს სატყუარა უკვე არ ჭრის, უფალო ხელისუფალო!

5







## „უკან – დიდი პატივება, წინ – დიდი შერიგება!“




3

ოლეგ პანფილოვი:

7

## რუსეთის გამო სირცხვილს ვგრძნობდი...





## პოლიტიკა

# დიმიტრი მედვედევი: არ მინდა არანაირი ურთიერთობა პრეზიდენტ სააკაშვილთან

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში გამართულ შეხვედრაზე ქართველი სტუდენტის გიორგი ჭოლაძის კითხვაზე, აპირებს თუ არა რუსეთი დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, პრეზიდენტმა უპასუხა, რომ მოსკოვს მიხეილ სააკაშვილთან არანაირი ურთიერთობა არ სურს.**

— მივიჩნევ, რომ დრამატული მოვლენები, რომლებიც მოხდა, არ ასახავს იმ ღრმა სიმპათიას, რომელსაც ყოველთვის განიცდიდა რუსი ხალხი ქართველების მიმართ და — პირიქით; არ ასახავენ არც იმ ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღეს მე-18, მე-19 საუკუნეში, როცა რუსეთი ხელს უწყობდა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას. ყველაფერი, რაც მოხდა, გულახდილად გეუბნებით, არის საქართველოს ხელმძღვანელი პირების ბრალი, — აღნიშნა მედვედევმა.

მისი თქმით, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, შეხვდა მიხეილ სააკაშვილს და აღუთქვა დახმარება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.



— ერთი ადამიანის შეცდომებისთვის ადამიანების დიდ რაოდენობას მოუწია საფასურის გადახდა. საომარი მოქმედებები არასდროს არ უწყობს ხელს სახელმწიფოს გამყარებას. ჩვენ გვინდა, გვქონდეს კეთილი და მეზობლური დამოკიდებულება, ჩვენ გვიყვარს და ვაფასებთ ქართველ ხალხს, მაგრამ არ მინდა არანაირი ურთიერთობა პრეზიდენტ სააკაშვილთან და არც ვაპირებ მასთან ურთიერთობას. თუ დემოკრატიული პროცესების შედეგად საქართველოში ხელისუფლება ადრე თუ გვიან შეიცვლება, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი საკითხის განსახილველად, — აცხადებს რუსეთის პირველი პირი.

# იაპ დე ჰოოპ სხეფერი: საქართველო ალიანსის წევრი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად გახდება

**ნატოს საიუბილეო სამიტის დაწყებამდე ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა საქართველოზე კიდევ ერთხელ ისაუბრა.**

**მისი თქმით, საქართველო ალიანსის წევრი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად გახდება, ქვეყნის ნატოში გაწევრება კი პოლიტიკური საკითხია.**

ქართველმა სტუდენტმა ნატოს გენერალურ მდივანს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული ბაზების მშენებლობასა და ამ საკითხში ალიანსის როლზე დაუსვა შეკითხვა.

— ეს ის თემაა, სადაც ჩვენი და რუსეთის პოზიცია ფუნდამენტურად განსხვავდება. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, რომ ნატო, ისევე, როგორც გაერო, მთელი ევროპა და ყველა საერთაშორისო ინსტიტუტი მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აფხაზეთი და სამხერთ ოსეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი. ეს აღიარება, ოკუპაცია და ბაზების მშენებლობა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს. ნატო ვერ გამოიყენებს სამხედრო ძალას, მაგრამ ჩვენ ვესაუბრებით რუსეთს ნატო-რუსეთის საბჭოს ფორმატში, რომ საქართველო ალიანსში ამ ტერიტორიებთან ერთად გაწევრდება. რაც შეეხება რუსული ბაზების მშენებლობას, ნატო იმუშავებს ამ საკითხზეც და სერიოზულ მოლაპარაკებებს გამართავს რუსეთთან, — აღნიშნა სხეფერმა.

# სერგეი ლავროვი: ბუქარესტის სამიტზე გაკეთებული განცხადება მიხეილ სააკაშვილის ქმედებების ირიბი სტიმული გახდა

**ნატოში საქართველოს შესაძლო გაწევრების შესახებ ბუქარესტის სამიტზე გაკეთებული განცხადება შარშან მიხეილ სააკაშვილის ქმედებების ირიბი სტიმული გახდა. ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გაზეთ „ფაინენშელ თაიმსთან“ ინტერვიუში გააკეთა.**

— ჩვენ გვესმის, რომ შეტყობინება ბუქარესტიდან ნატოში საქართველოს გაწევრებასთან დაკავშირებით ბატონი სააკაშვილისთვის ირიბი სტიმული გახდა, ჩაედინა ის, რაც ჩაიდინა. ასე რომ, თუ ნატოს სურს, ხალხის აზრის მიუხედავად, ნებისმიერ ფასად გაფართოვდეს, ისეთი ქვეყანა მიიღოს, რომლის რეჟიმს უყოყმანოდ შეუძლია საკუთარ მოქალაქეებზე ძალადობა დაიწყოს და ასობით ადამიანი დახოცოს, ამ შემთხვევაში გვიჩნდება კითხვა, რა არის ნატოს გაფართოების მიზანი, — აღნიშნა ლავროვმა.

**ინტერპრესნიუსი**

## მოწოდება

ერეკლეს გზა
ПУТЬ ИРАКЛИЯ

# სამოქალაქო დაპირისპირება და სისხლისღვრა დაუშვებელია!

## ერეკლე მეორის საზოგადოების მიმართვა თანამემამულეებისადმი

**ერეკლე მეორის საზოგადოება მოწიწებით მიესალმება საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაკეთებულ განცხადებას 9 აპრილისთვის დაგეგმილი საპროტესტო გამოსვლების შესახებ, სადაც საპატრიარქო მიმართავს ხელისუფლებას და ოპოზიციას, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენონ ძალისმიერი მეთოდები, მოსახლეობას კი სიმშვიდისკენ მოუწოდებს. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი გამოსვლების დროს თითოეული ჩვენგანის უპირველესი მიზანი სამოქალაქო დაპირისპირებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილებაა. ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია მოწოდებები მთავრობის ძალადობრივი გზით შეცვლისკენ, და არა მხოლოდ მსხვერპლის და ზიანის დაუშვებლობის გამო.**

**დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ტრადიციად დამკვიდრდა სამართლიანი ან გაყალბებული არჩევნებით მოსული ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა. პირველ შემთხვევაში მას სამარცხვინო სამოქალაქო ომი და შევარდნაძის ბნელი პოლიტიკა მოჰყვა, ხოლო მეორე შემთხვევაში საქართველოს სათავეში მოვიდა უხეში ძალა, რომელმაც ქვეყანა ერთ დიდ ციხეს დაამსგავსა, სადაც უნდობლობა, გაუტანლობა, ეჭვი და შიში დათესა. სწორედ დღევანდელი ხელისუფლების სულსწრაფობამ, ამბიციურობამ, პოლიტიკურმა უმწიფრობამ და სიბეცემ მიგვიყვანა 2008 წლის 8 აგვისტომდე, რომლის მწარე ნაყოფი ქართველთა კიდევ მრავალ თაობას მოჭკვეთს კბილს.**

**ერეკლე მეორის საზოგადოების წევრები, დღევანდელი ხელისუფლებისადმი ჩვენი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, მოიქცნენ მხოლოდ საღი გონების კარნახით. თუ საქართველოში ხელისუფლება კვლავ ძალადობრივი გზით შეიცვლება, ქვეყანაში საბოლოოდ დამკვიდრდება აზრი, რომ ხალხის გამოყენებით ნებისმიერი ხელისუფლების გაძევება შეიძლება, რაც სახელმწიფოს სტაბილურობისთვის დამღუპველია.**

**2009 წლის 9 აპრილს, ისევე როგორც 20 წლის წინათ, უნდა მოხდეს ჩვენი ერის კონსოლიდაცია. ჩვენი მოთხოვნა უნდა იყოს პარლამენტის და პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, ხოლო არჩევნების ჩატარებამდე უნდა ვაიძულოთ საკანონმდებლო ორგანო, შეცვალოს დრაკონული საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც ოპოზიციას კანონიერი საშუალებებით ხელისუფლებაში მოსვლის შანსს არ უტოვებს. მხოლოდ ასეთი გზით შევძლებთ დავიწყოთ ჭეშმარიტი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა და ავირჩიოთ ხელისუფლება, რომელიც დაიცავს ქართველი ხალხის ინტერესებს, მის რწმენასა და ტრადიციებს, და რაც მთავარია, ანგარიშვალდებული იქნება ერის, და არა ოკეანისგაღმელი „პატრონების“ წინაშე.**

2009 წლის 3 აპრილი

## პოზიცია

# ადრე თუ გვიან, სამართლიანობა საქართველოშიც იზეიმებს

## ინა გუდავაძის განცხადება



**დღეს ბატონი პრეზიდენტი მთაწმინდის პარკის გახსნას აპირებს!**

**თითქოს თბილისელებისთვის სასიხარულო მოვლენაა! ვიცი რა ჩვენი პრეზიდენტის ორატორული შესაძლებლობები, არ გამიკვირდება, თუ სიტყვების მოხერხებული თამაშით იგი პარკის სრულ რეკონსტრუქციას ისე წარმოაჩენს, როგორც არაბული (ან იქნებ მართლაც ქართული?) ჯგუფის, რაკიინის მიღწევას.**

როგორ რეაქციას ელოდებიან ჩვენგან, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისგან, თბილისელები? რასაკვირველია, შევუერთდებით პატარების სიხარულს, რომლებიც ატრაქციონებით გაერთობიან და იმ ადამიანების სიხარულსაც გავიზიარებთ, რომლებიც წარსულის ნოსტალგიური მოგონებების გარდა, ამ შესანიშნავი პარკის აღდგენით სამუშაოებს შეაფასებენ.

**იმას კი ვისურვებდით, იქნებ, უფროსებს პატარებისთვის აეხსნათ, რომ სხვისი ქონების ძალით მიტაცებას ძარცვა ჰქვია და ვინც არ უნდა იყოს მძარცველი, იგი სამართლებრივ დევნას ექვემდებარება!**

ჩემი მხრივ კი მინდა დაჟინებით გავაფრთხილო პარკის სტუმრები: დატკბით ამ შესანიშნავი ადგილით — პარკით, რომელსაც 2007 წლის შემოდგომაზე უკვე სტუმრობდა 80 000 ადამიანი, რომელიც მე და ბადრიმ პროფესიონალებთან ერთად აღვადგინეთ და მასში მთელი სული და გული ჩავდეთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ არ ვიღებთ არანაირ პასუხისმგებლობას ატრაქციონების ამჟამინდელ მდგომარეობაზე. ეს ატრაქციონები წელიწადნახევრის განმავლობაში ყოველგვარი შემოწმებისა და ზედამხედველობის გარეშე იყო დარჩენილი.

**P.S. ადრე თუ გვიან, სამართლიანობა საქართველოშიც იზეიმებს. ჩვენ ამის გვჯერა.**

## ინფორმაცია

### უკრაინელები საქართველოში არ იბრძოდნენ

**უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო აცხადებს, რომ უკრაინელი სამხედროები რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობას არანაირი ფორმით არ ღებულობდნენ. აღნიშნული განცხადება ვიქტორ იუშჩენკომ რადიო „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.**

მისი თქმით, ეს უბრალოდ რუსული ხრიკია, რათა უკრაინისგან მტრის ხატი შექმნას.

— კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებ და წერტილს ვუსვამ ამ თემას, რომ არანაირი უკრაინული სამხედრო კონტინგენტი, არანაირი ფორმით არ მონაწილეობდა ამ კონფლიქტში, რასაც ვერ ვიტყვით სამხედრო ტექნიკაზე, თუმცა ეს ჩვენი ქვეყნის სუვერენული უფლებაა, თვითონ განვსაზღვროთ თუ ვის მივყიდოთ სამხედრო ტექნიკა, — განაცხადა იუშჩენკომ.

### აფხაზებმა გალში ქართველი დახვრიტეს

**აფხაზმა სეპარატისტებმა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში 42 წლის ელგუჯა ბერაია დახვრიტეს. ამ ინფორმაციას გალის ქართული ადმინისტრაციის წარმომადგენლები ავრცელებენ.**

**როგორც გალის ქართული ადმინისტრაციის წარმომადგენელი პაატა შამუგია აცხადებს, გალის რაიონში მცხოვრები ქართველების უფლებები პრაქტიკულად დაუცველია და მათთვის ჯერჯერობით უცნობია მოტივი, თუ რატომ დახვრიტეს აფხაზმა ბოევიკებმა ბერაია.**

**პაატა შამუგიას განცხადებით, ბერაია იყო წესიერი ადამიანი და ის რაიმე კრიმინალში შემჩნეული არ ყოფილა.**

**ინტერპრესნიუსი**

## ორლესული კითხვა

# პატარა ანიმ რა დააშავა?

## იქნებ მას და მისთანებს დავეხმაროთ თუნდაც მასაჟისტი ქალისთვის მიცემულ-მისაცემი ფულით?

**სულ ერთი ციცქნა, ჯერ კიდევ წლისა იყო, მისი ყმაწვილი მამა რევაზ ვეფხვაძე სამშობლოს წინაშე მამულიშვილური ვალის მოსახდელად ჯარში რომ გაიწვიეს. თლავის 111 ბატალიონში გაამწესეს, იქ ისე იყოჩაღა, მალე ათმეთაური გახდა. იქიდან ცხინვალში მოუხდათ წასვლა და... 2004 წლის 18 აგვისტოს, ის და კიდევ 17 ვაჟკაცი მტრის ტყვიით განგმირული დაეცა.**

მახსოვს, რუსთავში, ფალიაშვილის ქუჩაზე, სადაც ვეფხვაძეები ცხოვრობენ, გზა აყრილი იყო და სახელდახელოდ მოხრეშეს, ჭაბუკი ჯარისკაცის გასვენებაზე პირველი ლედი და თავდაცვის მინისტრი მოდიანო...

ეგ იყო და ეგ ხელისუფლების ყურადღება ჭაბუკი მეომრის ოჯახისადმი. პატარა ანის 46-ლარიანი პენსია დაუნიშნეს, აქაოდა, მაშინ ომი არ იყო და, მეტი არ ეკუთვნით არც ბავშვს, არც მეუღლეს, არც მოხუც მშობლებსო.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო სპიკერო, ბატონო პრემიერო, ბატონო თავდაცვის მინისტრო და კიდევ სხვა ბატონებო, რომლებსაც ქვეყნის ბედი გაბარიათ და ყურებს გვიჭედავთ ხალხზე ზრუნვის პაიპროგრამებით, გეკითხებით, რა დააშავა პატარა ანიმ, რომელსაც მამის სახე-ხატი მხოლოდ სურათებმა შემოუნახა და იზრდება უმუშევარი დედის, ბებიების და ბაბუების ანაბარა, ანუ ბედის ანაბარა?

რაო, დიდო ბატონებო, ჯერ თითქმის უწვერული რევაზ ვეფხვაძე ცხინვალში კენკრის საკრეფად იყო წასული? იქნებ ისიც გაიხსენოთ, მაშინ რა უაზროდ დაიღუპნენ, ვიღაცის გაუაზრებელ ოპერაციას თუ თავის გამოჩენის მანიას შეეწირნენ ეს ვაჟკაცები, და სამშობლოს კიდევ 18 მომავალი ოჯახი, ამდენი სიცოცხლე გამოაცალეს ხელიდან.

ბოლოს და ბოლოს, რა მოხდება, თუ შიგა და შიგ პრეზიდენტი არ გაგზავნის თავის ქვირადლირებულ თვითმფრინავს ასევე ქვირადლირებული მასაჟისტი ქალის ჩამოსაყვანად, დაზოგილი ფულით კი ანის და მისთანებს დაეხმარება?

**გივი ჯახუა**

ხმა უცხოეთიდან

***საქართველო რომ იღუპება და გადარჩენას ითხოვს, ამაზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ არავინ ამბობს, ვინ და როგორ გადაარჩინოს იგი. ქვეყნის დამღუპველი ყოველთვის ხელისუფლებაა, ხოლო მხსნელი — ოპოზიცია. მაგრამ ოპოზიცია კონსტრუქციულ პოლიტიკურ ძალას ნიშნავს და არა დესტრუქციულს, სახელმწიფოს დემოკრატიულ-სამართლებრივი ნორმების დამკვიდრებისათვის ბრძოლას და არა ძალაუფლებისთვის, სკამებისთვის, არსებული ხელისუფლების უალტერნატივო ჩანაცვლებისთვის ბრძოლას.***

# დიალოგი: „უკან დიდი პატიება, წინ — დიდი შერიგება!“

ამ გაგებით, დღიდან ე. წ. „დამოუკიდებლობისა“, საქართველოში ოპოზიცია არ ყოფილა. ძალაუფლებისთვის იბრძოდა ზვიად გამსახურდია ჯუმბერ პატიაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ და არა დემოკრატიისთვის (იგი პირდაპირ აცხადებდა „მერე დემოკრატიაო“, არადა, სახელმწიფო დემოკრატიით იწყება!ძ, ძალაუფლებისთვის იბრძოდა ედუარდ შევარდნაძე, კიტოვან-იოსელიანის უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საშუალებით, ზ.გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ და არა დემოკრატიისთვის (იგი ფარისევლობდა „დემოკრატიით“, სინამდვილეში ყველაფერს აკეთებდა მის არდასაშვებადძ.

სააკაშვილ-ჟვანია-ბურჯანაძის თვალთმაქცობას ე. შევარდნაძის „წინააღმდეგ“ ჩვენ საერთოდ ბრძოლას ვერ ვუწოდებთ, ძალაუფლებისთვის იბრძვის დღევანდელი „მრავალპარტიული“, მაგრამ უპროგრამო და უალტერნატივო „ოპოზიციაც“ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ და არა დემოკრატიისთვის, რადგან უპროგრამოდ და უალტერნატივოდ არც დემოკრატია არსებობს და არც პარტია.

უპროგრამო და უალტერნატივო „პარტია“ სხვა არა არის რა, თუ არა გახელისუფლების პრეტენზია, რისთვისაც იგი იყენებს ან უკანონო ძალას ან ხალხს. ზვიად გამსახურდიამ ხალხი გამოიყენა, ქვეყნის დამღუპველი, მაგრამ პოპულისტურად მომგებიანი ნაციონალიზმით გაბრუებული ხალხი, ედუარდ შევარდნაძემ უკანონო ძალა გამოიყენა, დღევანდელი „ოპოზიციაც“, ზ. გამსახურდიას მსგავსად, ხალხის გამოყენებას ისახავს მიზნად. ამ აზრით, 2009 წ. 9 აპრილი 1989 წ. 9 აპრილს ჰგავს და არა 1991-1992 წწ. მოვლენას. ნიშანდობლივია, რომ მაშინაც და დღესაც პროვოკატორებისგან ხალხის დაცვას ცდილობდა და ცდილობს პატრიარქი. მაშინ ამაოდ, დღეს — ვნახოთ.

საქმე ეხება დიალოგს. ხელისუფლება სთავაზობს მას ოპოზიციას, ოპოზიციას არ სურს დიალოგი, მას სურს ხელისუფლების გადადგომა, რომ თვითონ ჩაენაცვლოს მას, რომ იგივე აკეთოს, რადგან არა აქვს ალტერნატიული პროგრამა. მაგრამ ხელისუფლებას აქვს ძალა, „ოპოზიციას“ კი ჰყავს ხალხი, როგორც გასაწირი პაიკები, რადგან თვითონ დაზღვეულია გაწირვისგან: ხელისუფლება ლიდერებს არ არბევს, ხალხს არბევს; ლიდერებს სახელები აქვთ და ხელისუფლება პასუხს აგებს მათს დარბევაზე; ხალხს კი სახელი არა აქვს და მათი დარბევისთვის იგი პასუხს არ აგებს. თუმცა, საბოლოო ჯამში, ხალხის დარბევით ზარალდება ხელისუფლება და არა ოპოზიცია. ეს უკანასკნელი, პირიქით, ქულებს იწერს ხელისუფლების დისკრედიტაციით. ამიტომ სტალინი სხვაგვარად იქცეოდა: ოპოზიციის ლიდერებს სჯიდა, რომ არ შეხებოდა ხალხს. მაგრამ ეხლა სტალინის ხანა აღარ არის. ეს უნდა გაითვალისწინოს ხალხმა, რადგან ყველა უბედურება მის თავს ხდება. მან უნდა შექმნას ჭეშმარიტი ოპოზიცია და ზურგი აქციოს ცრუს. ჭეშმარიტი ოპოზიცია პოლიტიკური პროგრამიდან, პოლიტიკური კონცეფციიდან იწყება. პროგრამა და კონცეფცია მხოლოდ მოაზროვნე ადამიანებს, ინტელექტუალებს, ინტელიგენციას შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ ებრძვის ყველა ბოროტგანზრახული ხელისუფლება, ლენინიდან მოყოლებული, გამსახურდია-სააკაშვილით დამთავრებული, ინტელიგენციას, რომელსაც „გავნოს“, „კრემლის აგენტებს“, „ფსევდოს“, „ჩარეცხილებს“ და ა.შ. უწოდებს. საქართველოს პოსტსაბჭოთა უბედურება ის არის, რომ ქვეყანაში ვერ შეიქმნა ინტელექტუალური პოლიტიკური ოპოზიცია. არადა, ინტელექტუალები იყვნენ და არიან. აკაკი ბაქრაძე, მერაბ მამარდაშვილი, ვალერიან ადვაძე, გიგა ლორთქიფანიძე, თამაზ გამყრელიძე, ჰამლეტ ჭიპაშვილი, მერაბ ჯიბლაძე, ბიძინა სავანელი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ეს ადამიანები მსოფლიოს ნებისმიერ მთავრობას დაამშვენებდნენ. რატომ არ არიან ისინი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში? როგორ გააკეთოს ხალხმაც არჩევანი?!

მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ამჟამად კი, 9 აპრილის წინ, დღის წესრიგშია დიალოგი. რა თქმა უნდა, არავითარი დიალოგი არ სჭირდება იმას, რასაც ოპოზიცია ითხოვს: პრეზიდენტის უზურპაციისგან სასამართლოს, პარლამენტის, მედიისა და საარჩევნო ადმინისტრაციის განთავისუფლებას. მაგრამ ამ დათმობაზე წასვლა სააკაშვილსა და მის კრიმინალურ გუნდს მხოლოდ ერთი პირობით შეუძლია: თუ იგი დარჩება ხელისუფლებაში და, დიდი-დიდი, გაუყოფს ძალაუფლებას ოპოზიციას, რადგან ხელისუფლებიდან წასვლა მისთვის ციხეში წასვლას ნიშნავს. განა არ არის ღირსი ციხეში წასვლისა, მაგრამ მის მხარეს არის ძალა და „ვინ შეაბამს ეჟვანს“?

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ყაჩაღებთან გვაქვს საქმე, რომლებსაც მოშვერილი აქვთ ჩვენსკენ იარაღი. დიალოგი გულისხმობს ამ ვითარების განმუხტვას. ეს ვითარება აღარც მათ აძლევთ ხელს, რადგან იგი განსხვავდება 2007 წლის ვითარებისგან. ამიტომ მათი დღევანდელი განწყობაც დიალოგისადმი არსებითად განსხვავდება 2007 წლის განწყობისაგან.

ჩემი ფიქრით, დღეს მათ იმისთვის უნდათ დიალოგი, რომ დათმონ თავიანთი უზურპაცია ხელისუფლებაში დარჩენის პირობით. თუ ოპოზიციას უნდა ეს დათმობა და არა შურისძიება, თვითონაც უნდა დათმოს სკამებისა და შურისძიების სურვილი უზურპირებული პარლამენტის, სასამართლოს, მედიისა და საარჩევნო ადმინისტრაციის თავისუფლების გულისთვის. ბოლოს და ბოლოს, ისინიც ჩვენი ხალხია, ჩვენი ძე-შეცდომილნი. უცოდველი კი არც ჩვენი ოპოზიცია იქნება, თუ გახელისუფლდა. თუ მიხეილ სააკაშვილი შეიკვეცს უფლებებს და, პარლამენტის ნახევრის ასარჩევად დანიშნავს საპარლამენტო არჩევნებს ოპოზიციისთვის, აღარც საპრეზიდენტო რესპუბლიკის გაუქმების საჭიროება გახდება, ყველა მხარე მოგებული დარჩება და ქვეყანაც პოლიტიკურ კრიზისს გადარჩება. ამიტომ მოუწოდებს პატრიარქიც ოპოზიციას დიალოგისკენ. წერილს დავასრულებ ისტორიკოს ლოვარდ ტუხაშვილის მიერ 90-იანი წლების დასაწყისის „უდაბნოში“ ნაღაღადევი სიტყვებით: **„უკან დიდი პატიება, წინ დიდი შერიგება!“**







**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე

ცხრა აპრილის წინ...

# სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი...

## ამერიკაში მცხოვრები ქართველების მოსაზრებები

***ამერიკაში მყოფ ქართველებს, ისევე როგორც სამშობლოში თუ სხვა ქვეყნებში მცხოვრებთ ძალიან გვაღელვებს საქართველოში მიმდინარე პროცესები და პოლიტიკური დაძაბულობის ტემპერატურა, რომელიც დღითი დღე მატულობს. იმის გასარკვევად, თუ რას ფიქრობენ ჩვენი თანამემამულენი სამშობლოში მიმდინარე პროცესებზე, მათ რამდენიმე კითხვით მივმართე, მათ შორის მონარქიის აღგენის თაობაზეც. აი, რა მიპასუხეს მათ:***

**ნიკოლოზ ჩხეიძე, ქართული ასოციაციის „თვისტომის“ თავჯდომარე:** — 9 აპრილის აქციას, უდავოდ, პოზიტიურად ვუყურებ და ვთვლი, რომ სააკაშვილი უნდა წავიდეს, რაც შეიძლება მალე და უმტკივნეულოდ როგორც თავისთვის, ასევე — ჩვენთვის. მისმა შეცდომებმა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდო როგორც მორალურად, ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკურად. სიტუაცია გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე აქამდე იყო, თუ არ ჩავთვლით, შადრევნებსა და წითელ-ყვითელ ფასადებს. ამავე დროს მის არც ერთ გაოპოზიციონერებულ თანაგუნდელს არ ვენდობი. განსაკუთრებით — ბურჯანაძეს. მას პრინციპულობის გამოჩენა დროულად შეეძლო, ისევე როგორც ისტორიული მომენტის გამოყენება, როცა იგი პრეზიდენტის სტატუსში იყო. მას ასევე შეეძლო აგვისტოს ომი თავიდან აეცილებინა. ეს ბურჯანაძემ არ გააკეთა. მოშიმშილეებს გადასაფარებლები არ მისცა. დღეს კი გაიძახის „კარვები დავცეთო“. იმედი მაქვს, რომ მას აპრილის აქციებში „ადიალებს“ არ მისცემენ. ირაკლი ალასანიას არ ვთვლი სააკაშვილის თანაგუნდელად და არც გაოპოზიციონირებულად. იგი არასდროს ყოფილა მისი გუნდის წევრი. 7 ნოემბრის ამბების მერე კი, პრაქტიკულად, ოპოზიციაში იყო გადასული. ალასანია ყველაზე რეალურ საპრეზიდენტო კანდიდატად მიმაჩნია. დალაგებული, გაწონაწონსწორებული, გამოცდილი, პრინციპული, არაეშმაკი და არაგაიძვერა, და რაც მთავარია წესიერი, პატიოსანი და სამართლიანი პიროვნებაა. მის პატრიოტიზმზე მისი ქმედებები საუბრობს. ვენდობი მას და მის გუნდს — მათ პირადად ვიცნობ.

მონარქიას, ევროპული მოდელის დარად, როგორც ერის ერთგვარი სიმბოლოს აღდგენას, დადებითად ვაფასებ. ვთვლი, რომ მონარქს, პატრიარქის მსგავსად, ერის შერიგებისა და გაერთიანების საქმეში დადებითი როლის შესრულება შეუძლია. ჩემი აზრით, საქართველოს ერთი ოჯახის შენახვა არ უნდა გაუჭირდეს.

**დოდონა კიზირია, ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი:** — 9 აპრილის აქცია რუსეთისთვის შესანიშნავი მიზეზი იქნება, რათა საქართველოში ტანკები შემოაგრიალოს და სამუდამოდ გაანადგუროს იგი. ეს არის რუსეთის ოცნება და ოპოზიცია 9 აპრილს ამის განხორციელებას საქართველოში ქაოსის შექმნით შესძლებს. არც ერთი ოპოზიციონერი არავითარ ნდობას არ იმსახურებს, ვინაიდან მათ საპრეზიდენტო სკამზე ჯდომის სურვილი ამოძრავებთ და არა საქართველოს ან მისი მოსახლეობის კეთილდღეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი არ მოუწოდებდნენ ხალხს თვითმკვლელობისაკენ. 9 აპრილის აქცია სწორედ თვითმკვლელობა იქნება და სხვა არაფერი. სააკაშვილის გადადგომის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გახდება პუტინ-მედვედევის დასმული მარიონეტი, როგორიცაა, მაგალითად, გოგა ხაინდრავა. რაც შეეხება მონარქიას, ეს არის ინფანტილური იდეა იმ ხალხისა, რომელიც საბავშვო ბაღის დონეზე აზროვნებს. მათ არც საქართველოს რეალური პრობლემებისა და არც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ გაეგებათ რაიმე.



**ირაკლი კაკაბაძე, კორნელის უნივერსიტეტის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი:** — 9 აპრილის აქციას დადებითად ვაფასებ. რასაკვირველია, თუ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ოპოზიციაში ზოგს მეტად ვენდობი, ზოგს — ნაკლებად და ზოგს — საერთოდ არა. არსებული პოლიტიკოსებიდან ჩემში ჯერჯერობით ყველაზე დიდ სიმპათიას ირაკლი ალასანია და მისი ალიანსი-მემარჯვენეები და რესპუბლიკელები იწვევენ. მათი პროგრამის პლატფორმა კარგია, თუმცა ასევე ვაფასებ სალომე ზურაბიშვილისა და გია მაისაშვილის შეხედულებებსაც. ზოგადად, გუნდური მთავრობის მომხრე ვარ და საპრეზიდენტოს წინააღმდეგი, ვინც არ უნდა იყოს იგი.

იხ. 4 გვ.

## ცხრა აპრილის წინ...

(მესამე გვერდიდან)

ვფიქრობ, რომ მონარქიის აღდგენა არასწორი ტერმინია, რაც აბსოლუტური მონარქიის ინსტიტუტის დაბრუნებას ნიშნავს. მისაღებია, როცა სკანდინავიის ტიპის საპარლამენტო დემოკრატიებში მონარქს სახელმწიფო მეთაურის როლი აკისრია. ეს კი ჩვენს ავტორიტარულ მოდელს სჯობს. ამიტომ ვემხრობი სკანდინავიურ სოციალ-დემოკრატიულ მოდელს, სადაც ფორმით კონსტიტუციურ მონარქიაში ადამიანის უფლებების პრიორიტეტიცაა და სოციალური სოლიდარობაც.

**მანანა ჯინჯიხაშვილი, ფილოლოგი:** — 9 აპრილიდან ვერავინ ვერაფერს მოიგებს. არსებობს იმის საშიშროება, რომ 9 აპრილი ხალხს კიდევ სხვა, ტრაგიკული მოვლენებით დაამახსოვრდეს. არ მინდა, რომ ეს მოხდეს! ოპოზიცია ატყუებს ხალხს, იგი გულწრფელი არაა. კარგი იქნება, თუ იგი ლეგიტიმური გზით დაუპირისპირდება ხელისუფლებას ისევე, როგორც ეს ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხდება და ხელისუფლებასთან ერთად ბალანსზე იზრუნებს. პრეზიდენტის ჩამოგდების მოთხოვნა აშკარად უმწიფარი საქციელია. დღეს ვერ ვხედავ ძალას, მათ შორის საპარლამენტო მოწყობის მოდელის ჩათვლით, რომელიც ქვეყანას გაუძლვება.

რაც შეეხება მონარქიის აღორძინებას: მე არა ვარ ისტორიკოსი, მაგრამ თუ საქართველოს ისტორია სწორად გავიგე, ვსვამ შემდეგ კითხვას: რანაირად შეიძლება, რომ საქართველოში სწორედ მეფე იყოს გამაერთიანებელი ძალა? მონარქიულ ქვეყნებში კითხვის ნიშნის ქვეშაა სამეფო ოჯახის ცხოვრების სტილი, მისი აპარატი. იგი სახელმწიფო მმართველობის ფუნქციადაკარგულ რგოლად ითვლება. პატარა საქართველოს ეს სჭირდება? არ ვიცი... “

**ხათუნა გალდავაძე, ინჟინერი:** — ჩემთვის არ არის ცნობილი 9 აპრილის აქციის ორგანიზატორთა გეგმები, ასე რომ ვერ ვიტყვი, თუ რამდენად მომგებიანი იქნება იგი ოპოზიციისთვის. არ ვიცი, რას აპირებენ ისინი სააკაშვილის გადადგომიდან მეორე, მესამე დღეს თუ ერთი კვირის შემდგომ. ეს წინასწარ ცნობილი უნდა იყოს. საქართველოს მოსახლეობა სააკაშვილის გადადგომით თავიდან აიცილებს დესტაბილიზაციას, სიტუაციის კიდევ უფრო მეტ დაძაბვას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ, ქვეყნისადმი ნდობა კი კვლავ აღდგება. ვინც სამართლიან არჩევნებში გაიმარჯვებს, ის იქნება პრეზიდეტი, თუმცა ჩემთვის ალასანია ყველაზე უფრო მისაღებია.

ვარ მონარქიის აღდგენის წინააღმდეგი იმიტომ, რომ არჩეული ვინცაა, ის არსად მიდის და ეხლა მემკვიდრეობით რომ დაჯდება ტახტზე, ძალაუფლება შეიძლება თავში აუვარდეს და რას მოიმოქმედებს, ვინ იცის?

**ნინო პატარაია, პედაგოგი:** — 9 აპრილი დამოუკიდებლობის აღდგენისა და გლოვის დღეა. წელიწადში 365 დღეა და რატომ მაინცდამაინც ეს დღე აირჩია ოპოზიციამ? ეს დღე არ უნდა გახდეს ვინმესთვის ქულების ჩაწერის

# სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი...

დღედ! ამ დღეს დაღუპულთა სულებს პატივი უნდა მივაგოთ. დაუშვებელია აქცია გლოვის დღეს. 9 აპრილს თუ კვლავ რაიმე მოხდა, ვერაფერს მოვიგებთ, სამაგიეროდ — წავაგებთ.

მონარქიის აღდგენას არ ვუყურებ დადებითად, თუმცა, ალბათ, მეფე იქნება ერთადერთი, რომელსაც ვერ ეტყვიან „გადადექი!“ მერე „დადექი!“ და ისევ „გადადექი!“. იქნებ კინოში მაინც უნახავთ, რომ სამეფო კარს თავისი წეს-ჩვეულებები, ამალა და ხარჯები აქვს? ვინ არჩენს სამეფო კარს, მის ამალას?

**თამარ კაპანაძე, ხელოვნებათმცოდნე:** — ძალიან ძნელია განსაზღვრო თუ რა იქნება, ამიტომ 9 აპრილის აქციას შიშით ვუყურებ. ჩემთვის მთავრობის, ისევე როგორც, ოპოზიციის გაიდეალება აბსოლუტურად მიუღებელია. მე არც ერთი მხარის მომხრე არა ვარ. მე არც გადატრიალების მომხრე ვარ, რადგანაც ნებისმიერი სამხედრო გადატრიალებას ერის დეგრადაცია მოჰყვება და ამის მაგალითი ჩვენ უკვე გვაქვს. ახლანდელი მთავრობის არასოდეს მჯეროდა და აღმოჩნდა, რომ მართალი ვიყავი. იმავეს ვიტყვი ამ ოპოზიციაზე, რომლისაც კიდევ უფრო ნაკლებად მჯერა. უბრალოდ, ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა. უფალს შევსთხოვ და ვლოცულობ, რომ ამ ჩიხიდან სწორი გამოსავალი ვიპოვოთ. რაც შეეხება მონარქიას, ვთვლი, რომ ამ საკითხს დიდი დაკვირვება სჭირდება. ჯერ საზოგადოებრივი აზრი უნდა მომზადდეს. მინდა ისეთი მეფე, რომელიც საქართველოს მთავრობასავით ქართველს კისერზე არ მოაჯდება და წურბელად არ გადაიქცევა.

**ლალი სამხარაძე, ფილოლოგი:** — ვერ გავიგე, დღევანდელი ოპოზიცია 9 აპრილის თარიღთან რა კავშირშია? რატომ არ ატარებენ ისინი აქციებს 8 ან 10 აპრილს? იმ აზრით, რითაც ისინი ამ აქციაზე მიდიან, ამ თარილის მიმართ უპატივცემულობაა და მეტი არაფერი. მათ უნდათ სააკაშვილის დამხობა. რა კავშირი აქვს 9 აპრილის ტრაგედიას მეორე მოსალოდნელ ტრაგედიასთან — ხელისუფლების დამხობასთან? ასე თუ მოხდა, ჩვენ ყველანი წავაგებთ და ამან შეიძლება რამდენიმე ათწლეულით უკან გადაგვაგდოს.



არის ინერციის ძალა და არის განვითარების ძალა. ინერციის ძალა ქვეცნობიერშია, ხოლო განვითარების ძალა მხოლოდ ცოდნითა და კულტურით შენდება. ძველ ტიკში ახალი ღვინო არ ჩაისხმება, გახეთქავს! რაც შეეხება სამეფო ტახტს, მას უარყოფითად ვუყურებ, რადგანაც იგი წარსულია და მეტი არაფერი.

**ზაზა შერმადინი, ისტორიკოსი:** — აქციას დადებითად ვაფასებ, რადგანაც მგონია, რომ ჩვენს ხელისუფლებას ოპოზიცია, კრიტიკა და დაფიქრება ნამდვილად სჭირდება. ასევე მგონია, რომ თუ სააკაშვილის ხისტი და ბრიყვული პოლიტიკა რუსეთის მიმართ უფრო გამჭრიახი, მოქნილი და გონიერი პოლიტიკით შეიცვლება, ამითი საქართველო, რა თქმა უნდა, მოიგებს. თუმცა, ამ ეტაპზე ეს შეცვლა რეალურად არ მესახება.

სააკაშვილის გაოპოზიციონერებულ თანამებრძოლებს, რა თქმა უნდა, არ ვენდობი. როგორ შეიძლება ენდო ოქრუაშვილს, რომელიც ყველა სიბინძურესა და მომხვეჭელობაში მონაწილეობდა? დაჭერა რომ დაუპირეს, მერე გაოპოზიციონერდა? მანამდე სად იყო? ვენდობი იმ ოპოზიციას, რომელიც სააკაშვილის გუნდში არასოდეს ყოფილა და წითელი კოჭი მისთვის არასოდეს უგორებია. თუმცა არ ვიცი, ვინ შეიძლება იყოს სააკაშვილის შემცვლელი.

მონარქიის აღდგენა საქართველოში რეალურად არ მიმაჩნია, რადგან XXI საუკუნე მონარქიაზე უფრო მეტად დახვეწილ და მოქნილ მმართველობის სისტემას მოითხოვს. ახლა ჩვენ მეფის სახით ბალასტიღა გვაკლდა?

**ნანა ლონდაძე, ჟურნალისტი:** — ვერ გამიგია აქციების ჩასატარებლად რატომ გეგმავს ოპოზიცია სწორედ 9 აპრილს? ეს დღე საქართველოს ისტორიაში ტრაგედიის დღედ შევიდა. ვფიქრობ, რომ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს სტუდენტობამ, მოქალაქეებმა პირველად ხმამაღლა დაგმეს აფხაზების რუსეთთან შეერთების მცდელობა. იქნებადა ეს დღე სეპარატიზმთან ბრძოლის დღედაც გამოგვეცხადებინა? მით უმეტეს, რომ საქართველოში სეპარატიზმი დიდი და ძველი პრობლემაა. სჯობს მტერი არ გავახაროთ... დაპირისპირებიდან ვერაფერს მოვიგებთ. მისი ეკონომიკური შედეგი კატასტროფული იქნება, ინვესტორები და დონორები შეშინდებიან, ტურისტები არ ჩამოვლენ, ერი ორად გაიყოფა, რუსეთი გაიხარებს.

მონარქიის აღდგენას მხარს არ ვუჭერ. საქართველოს მონარქის ოჯახის შეანახვა ჯერჯერობით არ შეუძლია. ათასობით დევნილი დასაბინავებელია, სამუშაო ადგილები შესაქმნელია, სოფელი მისახედია. ასე რომ მონარქია მოიცდის...

**ნოდარ ჯანჯღავა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი:** — ვფიქრობ ,რომ ეს აქცია 9 აპრილს არ უნდა ჩატარდეს. ამ დღეს სხვა დატვირთვა აქვს. ეს ხომ დაღუპულთა ხსენებისა და მათი საფლავების ყვავილებით შემკობის დღეა. თუ მაინცდამაინც თარილი უნდოდათ, 26 მაისი შეერჩიათ. თუ სააკაშვილი წავა, ეს კარგი და რეალური ნაბიჯი იქნება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მან თავად უნდა მიიღოს და არა ვინმეს დაძალებითა და, მით უმეტეს ჩამოგდების შიშით. ოპოზიციიდან ჩემს ნდობას ირაკლი ალასანია იმსახურებს. იგი გაწონასწორებულია, წინა პრეზიდენტებს არ აგინებს და ქვებს არ ისვრის.

რაც შეეხება მონარქიას, იმისთვის რომ საქართველომ მეფე მიიღოს, ამისთვის შესაბამისი პირობები და კიდევ 2-3 თაობაა საჭირო.

**ეთერ ჭკადუა, მხატვარი:** — 9 აპრილის აქცია ნაადრევია. პოლიტიკაშიც არსებობს ლოგიკა და თუ მას არ დავიცავთ, წავაგებთ მარტო სააკაშვილის გადადგომის გამო კი არა, ყოველთვის. რაც შეეხება მონარქიის აღდგენას, მას აბსურდულ იდეად მივიჩნევ.

**ნანა ტატიაშვილი, კოსმეტიკური კომპანია Mary Kay’s-ს კონსულტანტი:** — ვთვლი, რომ 9 აპრილის აქცია აუცილებელია. ცხადია, რომ მოძალადე და არჩევნების გაყალბებით მოსული ხელისუფლება უნდა წავიდეს!

ოპოზიციიდან განსაკუთრებით წინააღმდეგი ვარ აშშ-ის მიერ წარგზავნილი ირაკლი ალასანიასი. ხოლო მონარქიის აღდგენა შორეული პერსპექტივისთვის მიმინდვია.

**გიზო უჯარმელი, უძრავი ქონების ბროკერი:** — 9 აპრილის აქცია აუცილებლად მშვიდობიანი ხასიათისა უნდა იყოს, რასაკვირველია, არა გადადგომის მოთხოვნებით. მან ერის გამაერთიანებელი მისია უნდა შეასრულოს. სააკაშვილის გადადგომა მხოლოდ ორგანიზებულად და თავად სააკაშვილის თანხმობით უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო ომი, ალბათ, გარდუვალი იქნება. მე არ ვენდობი ოპოზიციას, მაგრამ თუ პრეზიდენტი მაინც გადადგა, მის შემცვლელად ბურჯანაძეს ვხედავ. მონარქიის აღდგენას კი ორივე ხელით მხარს ვუჭერ.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. აშშ ნიუ-იორკი**

## „მესამე გზა“

# „9 აპრილს მიტინგს არ შევუერთდებით, ხოლო ათში რას ვიზამთ, არ გადაგვიწყვეტია“

## არასამთავრობო ორგანიზაციათა და ეროვნულ უმცირესობათა კოალიციის საერთო ხედვა

***„მესამე გზა“ ანუ ხალხის გზა — ეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანების სახელწოდებაა, რომელიც გუშინ სახალხო დამცველის ოფისში 9 აპრილთან დაკავშირებით შეიკრიბა. როგორც ორგანიზაციის მესვეურმა კარლო ნადირაშვილმა აღნიშნა, გაერთიანებაში 30-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია შედის, თუმცა შეკრებაზე მოწვეულები იყვნენ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებმაც ერთობლივად საკოორდინაციო საბჭო დააფუძნეს.***

**გვიახლოვდება 9 აპრილი, რომელიც ძაბავს მდგომარეობას**, — აღნიშნა „მესამე გზის“ თავმჯდომარე კარლო ნადირაშვილმა — **კონკრეტულად არავის ვაკრიტიკებთ, არ ვეწინააღმდეგებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ყველაფერი დიალოგის და მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს. ვადამდელი არჩევნები უნდა იყოს არა მხოლოდ კერძო პოლიტიკური პარტიების ნება-სურვილი, არამედ ზოგადად ხალხის.**

ეროვნული უმცირესობის თითქმის ყველა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძალადობა და არეულობა ქვეყნისთვის დამანგრეველი იქნება, და რომ მოქალაქეთა ერთმანეთთან დაპირისპირება მიუღებელია.

შეხვედრას სტუმრის სტატუსით ესწრებოდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თემურ მჟავია. მან აღნიშნა, რომ 1989 წლის 9 აპრილი იყო მასობრივი გმირობის უპრეცედენტო მაგალითი. ვერც ერთმა ხელისუფლებამ ჯეროვნად ვერ შეაფასა ეს თარილი, რადგან მას გლოვის დღე უწოდეს. შეიძლება გმირობის გამოვლენის დღე გლოვისა და ტირილის დღედ გამოაცხადონ?!

9 აპრილს დაგეგმილი აქცია მიუღებელია „მესამე გზისთვისაც“, როგორც თანათავმჯდომარე ილია ბარაბაძე აღნიშნავს, კოალიციის წარმომადგენლები პუშკინის 5-ში, 9 აპრილს 12 საათზე შეიკრიბებიან, ორგანიზებულად გავლენ დაღუპულთა მემორიალთან და შინ გაბრუნდებიან. 9 აპრილი მიტინგებისა და დაპირისპირების დღე არ არის, — აღნიშნეს ერთხმად შეკრებაზე მყოფმა ქართველებმაც და არაქართველებმა.

„მესამე გზამ“ ამასთანავე ვრცელი მიმართვა გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ მედვედევს და პრემიერ-მინისტრ პუტინს, სადაც აღნიშნეს ქართველების კეთილგანწყობა რუსეთის მიმართ და მოლაპარაკებებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისკენ მოუწოდეს.

**მოკლედ, შეხვედრაზე ის ძალადობა დაგმეს, რომელიც ჯერ არ მომხდარა, თუმცა არაფერი თქმულა უკვე მომხდარზე. არასამთავრობოებმა არც მწვადი დაწვეს და არც შამფური. ამიტომაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ ბატონ ილია ბარაბაძეს.**

**— ბატონო ილია, თქვენ მოუწოდებთ ხელისუფლებასა და ოპოზიციას დიალოგისკენ. ოპოზიცია დასავლეთ საქართველოში ვოიაჟს აწყობს და ხალხს 9 აპრილის მიტინგის შეერთებისკენ მოუწოდებს, დიალოგი არ უნდა... ანუ თქვენს რჩევას ის არ გაიზიარებს. ასეთ დროს რაში ხედავთ გამოსავალს?**

— ჩატარდეს მიტინგი, მაგრამ მშვიდობიანად, ვინც მოვა, ცარიელი ხელებით მოვიდეს.

იხ. 6 გვ.

ეგრე არ არის, თაყაო...

***ლონდონში** პაციფისტების და ანტიგლობალისტების დემონსტრაციებს, რომელიც „დიდი ოცეულის“ ლიდერთა და ზოგადად „დიდების“ თავყრილობის განუყოფელი ატრიბუტია, დიდი სიამოვნებით შეუერთდებოდა საქართველოს ხელისუფლებაც. მიზეზი კი ძალიან მარტივია — როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები და მასთან დაახლოებული ექსპერტები სამიტამდე დიდი ხნით მორიგჯერად აბოლებდნენ საზოგადოებას, ობამამ მედვედევს ყური არ აუწია. რა თქმა უნდა, ამას უმალ მოჰყვა მორიგი პოლიტიკური ოპიუმის დოზა — თურმე ობამა მოსკოვში რომ ჩავა, ივნისში თუ ივლისში, სწორედ მაშინ მოსთხოვს მედვედევს საქართველოს დეოკუპაციას და თუ „დიდი დიმიტრი“ არ დასთანხმდება, იქვე მოუწყობს აუტოდაფეს.*



# ეს სატყუარა უკვე არ ჭრის, უფალო ხელისუფალო!

ადრეც არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ — ქართული პოლიტიკისა და, ზოგადად, დიპლომატიის უბედურება ისაა, რომ სასურველს მოსალოდნელ რეალობად ასაღებს და რეალობის დადგომისთანავე ახალ სისულელეებს ბლანდავს.

შორს რომ არ წავიდეთ, ამისთვის ომის შემდგომ ჩვენი უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარებიც კმარა, რომლებიც წლის ბოლოსთვის ნატოში შესვლის პერსპექტივით გვაბრუებდნენ და შემდეგ ალიანსთან ერთწლიანი პროგრამის უპირატესობის დამტკიცება დაგვიწყეს.

მერე ლამის ევროკავშირის წევრობაში დაგვარწმუნეს და რადგან კვირაში რვა ქვეყნის მონახულება ჩვეულებრივ წესად ექცათ, ახლა სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე გვიყვებიან სისულელეებს და თან „აღმოსავლეთის სამეზობლო პოლიტიკით“ გვხიბლავენ. თან ის ადამიანები, რომლებმაც არც მეზობლებთან მოქცევა იციან და არც მტრისა და მოყვარის გარჩევა როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ახლა კი ისევ სამიტს დავუბრუნდეთ, უფრო სწორად ობამა-მედვედევის შეხვედრას და თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენმა ბრძენმა პოლიტხელისუფლებამ კვალავ არაფერი თქვას ფაქტების დამახინჯებისა თუ არასასურველად წამოჩენის თაობაზე, პირველ რიგში ამ ქვეყნების საგარეო უწყების ხელმძღვანელების შეფასებებს გადავავლოთ თვალი.

**„რუსულ-ამერიკული ურთიერთობები თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა“**, — ასე აფასებს ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.

ლავროვის განმარტებით, **„ჩამოყალიბდა ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო. არ იქმნება კარგი ურთიერთობის ილუზია, რომელიც მხოლოდ პირად დონეზე ვითარდება“.**

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ მხარეები მზად არიან, ერთმანეთს მოუსმინონ.

**„ურთიერთობათა გადატვირთვა თვისებრივად მოხდა და არა მათემატიკურად. ჩამოყალიბდა ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო. ეს კი გულისხმობს, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას და ერთმანეთის მოსმენისთვის მზადყოფნას, რაც აქამდე ძალიან გვაკლდა“,** — დასძინა ლავროვმა.

უფრო მკაფიოდ იკითხება-ისმინება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადება — ობამა-მედვედევის მიერ შემუშავებული მოქმედების გეგმა ორი ქვეყნის ურთიერთობათა სრულ სპექტრს მოიცავს.

სახელმწიფო მდივანმა თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა მის მიერ რამდენიმე ხნის წინათ ნათქვამი ფრაზა — **„ყველა საკითხში, სადაც შეთანხმების მიღწევა ან უთანხმოების შემცირება არის შესაძლებელი, ამას გავაკეთებთ. იმ საკითხებზე კი, რომლებზეც რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს, პოზიციებს შევინარჩუნებთ, თუმცა დიალოგს გავაგრძელებთ“.**

„დიალოგს გავაგრძელებ“ — ამას ხომ არ ეძიდება ახლა ჩვენი ხელისუფლება? ამის საფუძველზე ხომ არ გვეუბნება, რომ ივნისში გახდება საქართველო განხილვის თემაო. და თუნდაც გახდეს, შედეგი? **მოსკოვი შეიცვლის საკუთარ პოზიციას იმ პირობებში, როდესაც ავღანეთის ოპერაცია და იქ აშშ-ის ჯარების ერაყიდან გადასროლა პიკის რეჟიმში იქნება?**

მოვა ზაფხულიც და ვნახოთ, თუ კვლავ არ მოვისმენთ ფრაზას — არსებობს რადიკალურად განსხვავებული პოზიციები, რითაც ამოიწურება საქართველოს თემა. სხვა რომ არაფერი, ამის მიზეზი ისიცაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა დღის პოზიტიური თემა არ ყოფილიყო. ეს არაერთხელ თქმულა და დაწერილი — დემოკრატიის დეფიციტი, უფრო სწორად არარსებობა და ელიტარული კორუფცია. სხვა თემებზე საუბარი არც კი ღირს. თუნდაც იმიტომ, რომ ნატოს უმთავრესი მოთხოვნა დემოკრატიული პროცესებია, ხოლო აშშ-ის სახელმწიფო ადმინისტრაციამ ყოველწლიურ მოხსენებაში ღიად დააფიქსირა ქვეყანაში ელიტარული კორუფციის არსებობა.

და მაინც, იმის მიუხედავად, რომ ჩვენთან ამას ნაკლებად ალიარებენ, არა მხოლოდ ამ ეტაპზე, არამედ ზოგადად რუსეთთან კონფრონტაცია არავის სურს და არც არავინ აპირებს. მით უფრო საქართველოს შესახებ და იმ ფონზე, როცა დასავლეთის მედიაში საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ არაერთი უკმაყოფილებით აღსავსე სტატია იბეჭდება.

თუ საერთოდ არ მივაქცევთ ყურადღებას „შპიგელში“ გამოქვეყნებულ მასალას, სადაც ომის ავტორად ერთმნიშვნელოვნად დასახელდა საქართველოს პრეზიდენტი და როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა ერთმნიშვნელოვნად ელოდება ჰაიდი ტალიავინის დასკვნას, რომელიც ქართულმა მხარემ უკვე დაადანაშაულა ტენდენციურობაში, ობამა და მედვედევი ერთობლივ განცხადებას აქვეყნებენ, სადაც საქართველოს ხელისუფლებას გონების გაგრილებას ჟენევის ფორმატში ურჩევენ

„აუცილებელია ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულება და ჟენევის მოლაპარაკებათა ფარგლებში დისკუსიის პროცესის გაგრძელება“, — ნათქვამია ორი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ მიღებულ ერთობლივ განცხადებაში.

ჟენევა კი ქართულ პოლიტკონფლიქტურ დიპლომატიას რა შედეგიანი შეხვედრებითაც აქვს დაცდილი, ამას ათ წელზე მეტია ვხედავთ.

**„იმის მიუხედავად, რომ აგვისტოს საომარი მოქმედებების მიზეზებსა და შედეგებზე განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს, შევთანხმდით, რომ ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ მსოფლიო არასტაბილური სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის“,** — ნათქვამია ლონდონში მიღებულ ერთობლივ განცხადებაში.

განსხვავებული მოსაზრებები კი, პირველ რიგში, ომის დროს ძალის გადამეტებულ გამოყენებას და შემდგომ სეპარატისტული რეჟიმების დამოუკიდებლობის აღიარებას შეეხება. ერთიც და მეორეც უკვე ისტორიული წარსულია, იმის სურვილი კი, რომ რუსეთმა აღიარების აქტი გააუქმოს, დიდი — ილუზია.

ერთადერთი, რასაც აშშ-მა საქართველოს საკეთილდღეოდ შეიძლება მიაღწიოს, და ისიც მხოლოდ რუსეთის კეთილი ნების პირობებში, ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულებაა. თუმცა როდის მოიცლის იგი ამისთვის და მოახერხებს კიდეც ამის გაკეთებას, არავინ იცის. ან მოიცლის და მოინდომებს კი?

რაც შეეხება იმას, რომ თურმე ობამა-მედვედევის შეხვედრაზე საქართველოს შესახებ ძალიან მკაცრი ტონით იყო საუბარი, ეს სატყუარა ქართველმა იდეოლოგიურმა მამებმა იმათ მაინც არ დაუყარონ, ვისაც ორი წიგნი მაინც წაუკითხავს, პრეზიდენტივით თავანკარა თუ არა საყველპურო ინგლისური იცის და ინტერნეტისთვისაც მიუწვდება ხელი. ასეთი კი საქართველოს მოსახლეობის უმეტესობაა და იქნებ სწორედ ამის გამო გამწარებული ხელისუფება ნამდვილად შეუერთდებოდა პაციფისტებისა და გლობალისტების აქციებს. თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებას არც განათლებულები უყვარს, არც პაციფისტები და აქციებიც ჭირის დღესავით ეზარება.

**მოკლედ აშშ-მა და რუსეთმა ურთიერთობები საქართველოს პრობლემის გარეშე გადატვირთეს. ხელისუფლება კი გვეუბნება, რომ ჩვენ არც კი გვჭირდება „დარესტარტება“, ან ეს ივნისში მოხდებაო. ისე მართლა ფაქტია, რომ გადატვირთვა საქართველოსაც სჭირდება.**

გოჩა მირცხულავა,
ХО-ЭОБ-ЭНО

ქალებს კი ბრალდებოდათ!..

# უნაყოფო მამაკაცებიც თურმე კარგა ბლომად ყოფილან...

## ვესაუბრებით ვენეციის კონგრესის მონაწილეს

**ადამიანის რეპროდუქციის საერთაშორისო აკადემიის მიერ ვენეციაში გამართულ მე-13 კონგრესზე მიწვეული იყო ი.ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ჯენარო ქრისტესაშვილი. იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ მეცნიერთა წინაშე რამდენიმე მოხსენებით წარდგა. ქალბატონმა ჯენარომ ჩვენთან საუბარი სწორედ ვენეციის კონგრესით და მისი მნიშვნელობით დაიწყო.**

— რეპროდუქციული მედიცინის საერთაშორისო აკადემია 3 წელიწადში ერთხელ მართავს მსოფლიო მეცნიერთა ფორუმს, რომლის ორგანიზატორები არიან აკადემიის პრეზიდენტი, ისრაელელი მეცნიერი, პროფესორი შენკერი და აკადემიის ერთ-ერთი მდივანი, ცნობილი იტალიელი მეცნიერი ჯენაზანი. ბედნიერი ვარ, რომ ვმონაწილეობდი 2005 წელს გამართულ მე-12 კონგრესშიც.

ეს ფორუმი უკვე იმდენად პოპულარულია, რომ წლეულს 14 ათასი მონაწილე დარეგისტრირდა. ბუნებრივია, კონგრესის მონაწილეებს ვენეციის არაჩვეულებრივი გარემოც იზიდავთ, მაგრამ 14 ათასი მეცნიერის დაინტერესება ამ თავყრილობით, დამერწმუნებით, ძალიან დიდი რიცხვია.

ჩემთვის, როგორც სპეციალისტისთვის, მნიშვნელოვანი იყო ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის წარდგენა და კოლეგებისთვის ჩვენი მიღწევების გაცნობა. ასევე, გავეცანი იმათ უახლოეს მიღწევებს მედიცინაში.

უნდა ითქვას, რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობა დღეისთვის ძალზე აქტუალური გახდა, მისდამი ინტერესი განსაკუთრებით ბოლო ოცი წლის მანძილზე გაიზარდა, თუმცა მედიცინის ამ სფეროს ფუძემდებელი მთელ მსოფლიოში ჩვენი ინსტიტუტია. ბატონი იოსებ ჟორდა-




ნიას დაწყებული საქმე და მისი იდეები დღემდე მოგვყვება, აღმოჩნდა, რომ იმას, რაც 90-იან წლებში მსოფლიოში გახდა აქტუალური, ჩვენ 1958 წლიდან ვამკვიდრებდით, განსაკუთრებული აღმავლობა კი ინსტიტუტის საქმიანობაში 1985 წლიდან აღინიშნება, როცა ინსტიტუტს სათავეში პროფესორი არჩილ ხომასურიძე ჩაუდგა.

**— რა თემებმა მიიქცია კონგრესზე თქვენი ყურადღება, რაც რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით ჩვენთვისაც საგულისხმოა?**

— დღეს ძალზე აქტუალურია ხელოვნური განაყოფიერება, ინვიტრო განაყოფიერება. ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის კვლევის შედეგები.

რეპროდუქციული მედიცინის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტმა შენკერმა საპროგრამო სიტყვაში ასეთი რამ თქვა — დასავლეთის ქვეყნებში ქალები გვიან გეგმავენ ბავშვის გაჩენას, დადგინდა, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ვთქვათ 40 წლის შემდეგ კვერცხუჯრედის ხარისხი საგრძნობლად ეცემა; თუ ინვიტრო განაყოფიერების შედეგად 30 წლამდე ქალებში ეფექტურობა 42 პროცენტია, 40 წლის შემდეგ ეს ციფრი 5 პროცენტამდე ჩამოდის.

ბატონმა შენკერმა წამოაყენა წინადადება რეპროდუქციული მასალების შენახვის თაობაზე, ანუ კვერცხუჯრედი, საკვერცხის მასალა ახალგაზრდა ასაკში გაიყინოს, შეინახოს და როცა ქალს შვილის გაჩენა მოუნდება, მაშინ გამოიყენოს.

იხ. 6 გვ.

„მესამე გზა“

# „9 აპრილს მიტინგს არ შევუერთდებით, ხოლო ათში რას ვიზამთ, არ გადაგვიწყვეტია“

(მეოთხე გვერდიდან)

**— მაგრამ თქვენი კოალიციის გადაწყვეტილებით 9 აპრილს მემორიალთან მიხვალთ და მერე სახლებში წახვალთ, მიტინგს არ შეუერთდებით.**

— დიახ, 9 აპრილს სულ სხვა დატვირთვა აქვს...

**— 10-ში თუ მიხვალთ?**

— 10-ში შეიძლება მივიდეთ. როგორც ხალხი გადაწყვეტს, ისე მოვიქცევით.

**— თქვენი გაერთიანების წარმომადგენლების განწყობა მაინტერესებს.**

— ჩვენი მომხრეების განწყობა 10-ში გამოჩნდება.

**— ერთი სიტყვით, მითხარით, თქვენს კოალიციას მართებულად მიაჩნია თუ არა ოპოზიციის მოთხოვნა, გადადგეს სააკაშვილი? მათ სხვა მოთხოვნა არა აქვთ.**

— ამ ხელისუფლებამ თავისი მისია ამოწურა. როცა მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, დაიწყეს გუნდური პრინციპით მუშაობა. ამ ოთხი წლის განმავლობაში ის გუნდი განახევრდა. ამათ უნდათ ქვეყნის მართვა, მაგრამ ვინც უნდა მართოს, იმ ხალხს ვერ ვხედავ. ძირითადად გამოუცდელი ახალგაზრდები მართავენ...

**— მოკლედ, ეთანხმებით თუ არა ოპოზიციის მოთხოვნას?**

— რა თქმა უნდა, ვეთანხმები. არ შეიძლება, კომპეტენტური თანამშრომლები უზოდიშოდ დაითხოვო სამსახურიდან და მოიყვანო ბავშვები. ამიტომ უნდა იყოს კოალიციური მთავრობა და არა მარტო ნაციონალური გუნდი.

**— ამისთვის არ იბრძვის ოპოზიციური სპექტრი? ამიტომაც მოუწოდებს ხალხს იმ აქციაზე მისვლას, რომელსაც თქვენ არ შეუერთდებით...**

— დიახ, მაგრამ დიალოგი უმჯობესია. მტერიც რომ იყოს, მოსალაპარაკებლად მაინც უნდა დაჯდე. რესურსი ამოწურული არ არის. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ქვეყნის სიყვარულით, და არა ვინმეს სიძულვილით.

**— ბატონო ილია, დიმიტრი მედვედევმა მკაფიოდ აღნიშნა, სააკაშვილთან მოლაპარაკება მიუღებელია. როგორ ფიქრობთ, თქვენი მიმართვა გავლენას მოახდენს საქართველო-რუსეთის დაძაბულ ურთიერთობაზე?**

— რას მოგვცემს, არ ვიცი, მაგრამ ეს ჩვენი ვალია. მედვედევის პასუხს თვითონ სააკაშვილმა გასცეს პასუხი. არ შეიძლება, ქვეყანა შენს სკამს გადააყოლო...

**— იქნებ ჯერ სააკაშვილისთვის გაგეგზავნათ მიმართვა?**

— წერილი გამზადებული გვაქვს. ასევე მივმართავთ ოპოზიციას. ყველასთან ვაპირებთ შეხვედრას. ხელისუფლებას არ უნდა განსხვავებული აზრების მოსმენა. ხალხსა და მას შორის დიდი ღრმულია. ჩვენს ორგანიზაციას ამიტომაც ჰქვია „მესამე გზა“ — ეს არც ოპოზიციურია და არც სახელისუფლებო, ეს არის ხალხის გზა.

ესაუბრა
**თეა მოსია**

ინფორმაცია

## აქცია ორ საათზე დაიწყება და სააკაშვილის გადაყენებამდე გაგრძელდებაო

**9 აპრილის** აქციის ორგანიზატორებმა დაგეგმილი აქციის შესახებ თბილისის მერიას წინასწარი გაფრთხილებით მიმართეს. ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებით, 9 აპრილს აქცია ერთდროულად რამდენიმე ადგილას გაიმართება.

აქციების გამართვა დაგეგმილია რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობის წინ; საზოგადოებრივი მაუწყებლობის შენობის წინ; ავლაბრის მეტროსთან; სახელმწიფო უნივერსიტეტთან და პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან;

გადაიკეტება ასევე შავნაბადის რეზიდენციის მიმართულებით მიმავალი გზატკეცილი;

ოპოზიციის განცხადებით, აქცია დაიწყება 2009 წლის 9 აპრილს 14 საათზე და გაგრძელდება მიხეილ სააკაშვილის გადადგომამდე. აქციის ორგანიზატორები აქციაში არანაკლებ 150.000 ადამიანის მონაწილეობას ვარაუდობენ.

## ოპოზიციის შეხვედრები დასავლეთ საქართველოში

**გუშინ** ქუთაისის ოპერის სახელმწიფო თეატრის შენობაში ოპოზიციის მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც 1000-მდე ადამიანი დაესწრო.

ოპოზიციიის ლიდერებმა ქუთაისელ მხარდამჭერებს 9 აპრილს, პარლამენტის წინ დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდეს.

პარტია „თავისუფლების“ ლიდერის კოკო გამსახურდიას განცხადებით, აქვს მწარე გამოცდილება, თუ რა რისკის ფასად უწევთ თბილისში ჩასვლა რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას; მან ურჩია მხარდამჭერებს, ეტაპობრივად მოახერხონ დედაქალაქში გამგზავრება.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის გია მაისაშვილის განცხადებით კი, ქუთაისში მათ დიდი დასაყრდენი აქვთ, რის გამოც აქციაზე დასავლეთიდან ათასობით ადამიანი ჩავა თბილისში.

ქუთაისის ოპერის თეატრში შეკრებილებს თითქმის ყველა ლიდერმა მიმართა.

## კოდორიდან ქართველი ბერები გამოაძევეს, იგივე ბედი ელით მონაზვნებსაც

**სოფელ აჟარის** მამათა მონასტრის ბერებისგან სოხუმის მარიონეტული რეჟიმი საქართველოს მოქლაქეობაზე უარის თქმასა და აფხაზური ეპარქიის დაქვემდებარებაში გადასვლას მოითხოვდა. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ მალხაზ აკიშბაიამ განაცხადა.

— მღვდელ-მონაზვნები — ზაბლონი და ბიძინა, აგრეთვე, ბერდიაკონი გიორგი სოხუმში ჩაიყვანეს და იქ დაჰკითხეს. მათ ჯაშუშობას სდებდნენ ბრალად და ეუბნებოდნენ, რომ კოდორის ხეობაში არა ღვთისმსახურებას, არამედ ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ. შემდეგ მათ საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა და აფხაზური ეპარქიის დაქვემდებარებაში გადასვლა მოსთხოვეს, — აღნიშნა მალხაზ აკიშბაიამ.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც ბერებისგან უარი მიიღეს, სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებმა ისინი აფხაზეთიდან გამოაძევეს.

აკიშბაიას განცხადებით, სავარაუდოდ, იგივე ბედი ელის აჟარის დედათა მონასტერში დარჩენილ სამ მონაზონსაც.

— სასულიერო პირები თვეების განმავლობაში ზეწოლისა და შევიწროვების პირობებში აგრძელებდნენ კოდორის ხეობაში საქმიანობას. ახლა კი სეპარატისტები ისედაც თითქმის დაცლილი ხეობიდან ბერ-მონაზვნებსაც კი აძევებენ, — განაცხადა მალხაზ აკიშბაიამ.

მისი ინფორმაციით, კოდორიდან გამოძევებული სამი ბერი თბილისისკენ მოემგზავრება. აკიშბაია მათთან შეხვედრას და დახმარების აღმოჩენას აპირებს.

## საფრანგეთში ქართველები მიტინგში მონაწილეობას არ მიიღებენ

**საფრანგეთში** მყოფ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომო კომუნიკეს აქვეყნებს, სადაც დაფიქსირებულია, რომ სათვისტომო არ იზიარებს 9 აპრილის აქციის ორგანიზატორი ოპოზიციური პარტიების მოწოდებებს და მონაწილეობას არ მიიღებს საქართველოს საზღვრებს გარეთ ამ პარტიების მიერ 9 აპრილს დაგეგმილ მანიფესტაციებში.

კომუნიკეს, რომელსაც ასოციაციის დირექტორთა საბჭოს სახელით ოთარ ზურაბიშვილი აწერს ხელს, ნათქვამია, რომ 9 აპრილის აქციებში სათვისტომო მხარს არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ დაუჭერს.

— რამდენიმე პიროვნებამ, რამდენიმე პოლიტიკური პარტიის სახელით გვაცნობა, თითქოს ქართული ემიგრაცია დადებითად გამოეხმაურა მათ მოწოდებას და მზადყოფნას გამოხატავს მიიღოს მონაწილეობა საქართველოს საზღვრებს გარეთ ამ პარტიების მიერ 9 აპრილს დაგეგმილ მანიფესტაციებში. ყოველივე შორს არის ჭეშმარიტებისგან. ჩვენ მტკიცედ გვწამს და ამასვე ვატყობინებთ ჩვენი ასოციაციის წევრებს და მთელს ქართულ სათვისტომოს, რომ ვერცერთ ორგანიზაციას თუ პოლიტიკურ პარტიას ვერ ექნება ჩვენი მხარდაჭერა და ან ჩვენი თანხმობა მსგავსი მანიფესტაციებისთვის. დღევანდელი დემოკრატიული საქართველო ველარ შეიძლება იყოს ქვეყანა, სადაც ქუჩის მანიფესტაციები ჩაანაცვლებენ იდეათა დებატებს და სადაც ორატორთა ბილწსიტყვაობა ჩაენაცვლება ყველანაირ პოლიტიკურ აზროვნებას, — ნათქვამია კომუნიკეში.

## 9 აპრილს აქციას სუბარის ხალხი გააკონტროლებს

**9 აპრილის** აქციის მიმდინარეობას სახალხო დამცველის აპარატის სპეციალურ ფორმაში ჩაცმული პირები გააკონტროლებენ.

სოზარ სუბარმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სპეციალურად შეკერილი ფორმების პრეზენტაციაც მოაწყო.

მისი ინფორმაციით, შეკერლია 100-მდე ფორმა, ჟილეტები და ქუდები, რომლებზეც გაკეთებულია წარწერა — „სახალხო დამცველი“. გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატში ამოქმედდა ცხელი ხაზი, რომლის ნომერია 99 58 98.

როგორც სახალხო დამცველმა აღნიშნა, მოქალაქეებს, რომელთა უფლებებიც დაირღვა, ან რომლებიც ფლობენ ინფორმაციას უფლებების დარღვევების შესახებ, შეუძლიათ დარეკონ აღნიშნულ ნომერზე ან აქციების დროს მივიდნენ სპეციალურ ფორმაში ჩაცმულ წარმომადგენლებთან და აცნობონ ამის შესახებ.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

ქალებს კი ბრალდებოდათ!..

# უნაყოფო მამაკაცებიც თურმე კარგა ბლომად ყოფილან...

(მეხუთე გვერდიდან)

კონგრესზე კონტრაცეფციის უსაფრთხო მეთოდებზეც იმსჯელეს. განსაკუთრებით დამაინტერესა ამერიკელი მეცნიერის ლუინფილდის მოხსენებამ საკვერცხეების პოლიკისტოზის შესახებ, თუ როგორ ვლინდება პოლიკისტოზი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა სიმსუქნით გამოხატულ ინსულინრეზისტენტულ ფორმებზე. მსუქან გოგონებში საკვერცხის პოლიკისტოზის უფრო მეტი რისკია. ინსულინის დონის მომატება თავისუფალი ტესტოსტერონის, ანუ მამაკაცის ჰორმონის მომატებას იწვევს, რასაც მოსდევს თმიანობა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა და უნაყოფობა. ამიტომ თუ ექიმმა მიზეზობრივი მკურნალობა არ ჩაატარა, მხოლოდ სიმპტომური მკურნალობით — რომ თმიანობა შეიძლება შეუჩეროს ან ციკლი მოუწესრიგოს, სასურველ შედეგს ვერ მიიღებს. სწორედ მიზეზობრივი მკურნალობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი ამერიკელმა მეცნიერმა. სამწუხაროდ, საქართველოში, ჩვენი ინსტიტუტის გარდა, ინსულინ-რეზისტენტობას საკმარისი ყურადღება არ ექცევა.

**— ვენეციის კონგრესზე თქვენ სამი მოხსენებით გამოხვედით. რა საკითხები წამოწიეთ წინ?**

— ეს მოხსენებებია: სქესობრივი განვითარების თანდაყოლილი ანომალიები; მამაკაცის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგები; საკვერცხეების პოლიკისტოზის სამკურნალო პრეპარატები.

უნდა ითქვას, რომ პირველი გენეტიკური ლაბორატორია ჩვენს ინსტიტუტში გაიხსნა, სწორედ გენეტიკის თვალსაზრისით მრავალი სიახლეა მედიცინაში. სქესობრივი განვითარების თანდაყოლილი ანომალიების დიაგნოსტიკაც მხოლოდ ჩვენთან ხდება, სწორი მიდგომის მეშვეობით ამ ანომალიებს ვშველით. ჩვენ ისეთი დიაგნოზები მივიღეთ, რაც სხვა ექიმებს არც კი გაუგიათ. სწორედ ეს მასალა წარვადგინე კონგრესზე, რამაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

**— ბუნებრივია, უცხოელი მეცნიერებიც გამოგეხმაურნენ...**

— უამრავი შეკითხვა დაისვა. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტმა თავისი სახე აჩვენა, თუ როგორ ვმუშაობთ და ვაწარმოებთ კვლევას და რა დონეზეა ჩვენი სამეცნიერო აზროვნება. ასეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმების შემდეგ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები ყოველთვის გვეხმაურებიან.

ჩვენ ვთანამშრომლობთ ფრანგ მეცნიერებთან სამეცნიერო და რეპროდუქციული გენეტიკის სფეროში, პოლიკისტოზებისა და სქესობრივი განვითარების ანომალიების შემთხვევებში — მსოფლიო დონის ამერიკელ მეცნიერთან სიმპსონთან, ასევე, ურთიერთობა გვაქვს სხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან.

**— თქვენი ერთ-ერთი თემა მამაკაცის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგებს შეეხებოდა. რამდენად აქტუალურია დღეს ეს პრობლემა?**

— უწინ თუ მხოლოდ ქალს ადანაშაულებდნენ უნაყოფობაში, დღეს უკვე აღარავინ ეჭვობს, რომ მამაკაცი უნაყოფობაში ზუსტად იმავე სიხშირით მონაწილეობს, როგორც ქალი. უკვე 60 პროცენტამდე მიაღწია მამაკაცის მიზეზით ინვიტრო განაყოფიერების ჩატარებამ.

საერთოდ, ერთი სპერმატოზოიდი ანაყოფიერებს კვერცხუჯრედს, მაგრამ კვერცხუჯრედის გარეთა გარსის გასალღობად მილიონი სპერმატოზოიდია საჭირო, და თუ ეს რაოდენობა არ არის, ინვიტრო განაყოფიერების შემთხვევაში კვერცხუჯრედში შპრიცით შეჰყავთ 1 სპერმატოზოიდი. სულ რამდენიმე სპერმატოზოიდიც საკმარისია ორსულობის მისაღებად.

ძალიან ამაყი ვარ იმის გამო, რომ ჩვენს ინსტიტუტში ინვიტრო განაყოფიერებისთვის საჭირო ყველა მეთოდი დანერგილია: ჩვეულებრივი — რუტინული ინვიტრო განაყოფიერება, სპერმის ინექცია ციტოპლაზმაში, თუ სპერმატოზოიდები საერთოდ არ არის, ოპერაციის შედეგად შეიძლება სათესლიდან მათი ამოღება და კვერცხუჯრედის განაყოფიერება. უკვე ამ გზითაც დაიბადა ჩვენთან ბავშვები. ყველა ხსენებულ მეთოდს ჩვენ წარმატებით ვფლობთ.

**— თქვენს ინსტიტუტში რეპროდუქციული ჯანმრთელობა ფართო გაგებით მოიაზრება. არა მხოლოდ უნაყოფობას მკურნალობთ, არამედ ოჯახის დაგეგმვიდან იწყება ათვლის წერტილი. არაერთხელ დაიწერა ენდოსკოპიურ ოპერაციებზე, ლაპარასკოპიის პირველი აკვანი სწორედ თქვენთან დაირწა. ამიერკავკასიაში ერთადერთია ბავშვთა და მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის განყოფილებაც... ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... მკითხველისთვის საინტერესოა, უახლოეს მომავალში რა სიახლეს შეიძლება ველოდოთ?**

— სიახლე გვაქვს. ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი არჩილ ხომასურიძე მუშაობს მიფეპრისტონზე. ესაა ანტიპროგესტერონი, რეცეპტორზე მოქმედი ნივთიერება, რომელიც უკვე დანერგილია ჩვენთან. ჩვენ ვართ ბაზა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგია-რეპროდუქტოლოგიის დეპარტამენტისა. ეს ნივთიერება ახლა მეანობის ბაზაზე გამოცდას გადის, რათა მიფეპრისტონი უმტკივნელო მშობიარობის ხელშეწყობისთვის და ასევე გართულებების შესამცირებლად გამოვიყენოთ.

ეს იქნება სიახლე არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ მსოფლიოში. ასე რომ, ძალიან დიდი პერსპექტივები გვაქვს სამედიცინო ასპარეზზე.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

## თვალსაზრისი

*ისევე როგორც ორი წლის წინათ, როცა რუსეთიდან ქართველების დეპორტაციის დროს გაფაციცებით ვეძებდით ამ „გასახლების“ მოწინააღმდეგეთა რუსულ გვარ-სახელებს, აგვისტოს ომის დროსაც მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩა იმათი სახეები, ვინაც გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი გამოგვიწოდა და რუსებს „აგრესორ“ მოქალაქეებზე „აგრესორი“ ქვეყნიდან მოუთხრობდა, თანაც დღიურების სახით (იხ. რადიო „თავისუფლების“ რუსული რედაქციის თანამშრომლის ოლეგ პანფილოვის რეპორტაჟები). სხვათა შორის, მას მერე, რაც ვახტანგ კიკაბიძის მიერ შესრულებული ახალი სიმღერა ინტერნეტსივცეში გაჟღერდა, ამავე რადიოს ვებ-გვერდზე რუსმა მსმენელებმაც დატოვეს თავისი „დღიურები“ — ოღონდ მოკლე კომენტარების სახით. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ კიკაბიძესთან ერთად მისმა გმირმა — მიმინომაც დაიმსახურა ძველი რუსი თაყვანისმცემლების რისხვა. „მიმინო“ ახლა რუსი „კომენტატორებისთვის“ ფაშისტი და არაკაცია... ცნობილი ორაზროვანი ფრაზა კი — „ვ ეტომ გოსტინიცე ია ხოზიაინ“ ისევ რჩება „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტის“ ასეთივე აქცენტიან უშინაარსო რეპლიკად.*

*მოსკოვში მოქმედი ორგანიზაცია „ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის“ ხელმძღვანელი და რადიო „თავისუფლების“ თანამშრომელი ოლეგ პანფილოვი აგვისტოს ომის შემდეგ უკვე ჩვენებურად ითვლება, რადგანაც სწორედ შარშან აგვისტოში გახდა იგი საქართველოს მოქალაქე. ჟურნალისტი ხშირად სტუმრობს საქართველოს, თბილისის უნივერსიტეტში ლექციებსაც კითხულობს და არა მარტო ფორმალური მიზეზის — მოქალაქეობისა და არაფორმალურის — საქართველოს სიყვარულის გამო, არამედ პრაგმატული მიზეზის გამოც. მან აჭარაში მიწა შეიძინა, სადაც ამჟამად სახლს აშენებს.*

# ოლეგ პანფილოვი: რუსეთის გამო სირცხვილს ვგრძნობდი...



**— ბ-ნო ოლეგ, რატომ გახდით საქართველოს მოქალაქე?**

— მე ვერ ვიტყვი, რომ ჩემი გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. უფრო სწორედ ეს რამდენიმე მიზეზის გამო მოხდა. უპირველესად, მე ვარ ეთნიკური რუსი, დავიბადე ტაჯიკეთში. მაგრამ რუსეთში 16 წლის ცხოვრების მიუხედავად, მაინც ვერ ვიპოვე ჩემი „ისტორიული სამშობლო“. ვერ შევეჩვიე იქაურობას, რადგანაც ტოლერანტულ საზოგადოებაში ცხოვრება მირჩევნია. თანაც, მე, ასე ვთქვათ, „ხალხის მტრის“ შთამომავალი ვარ — ჩემი ბაბუა 1937 წელს დახვრიტეს, მამამ კი თავის თავზე იწვნია რეპრესირებულის შვილობა. ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი იყო სსრკ-დან, საბჭოთა იდეოლოგიისგან და მემკვიდრეობისგან გაქცევა. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქედ გახდომისა შარშან აგვისტოს ბოლოს, ომის შემდგომ მივიღე. ეს გადაწყვეტილება შეგნებული ნაბიჯი იყო — ეს იყო კრემლის პოლიტიკისადმი პროტესტი და დემოკრატიული საქართველოს შექმნაში მონაწილეობის მიღების სურვილი. მეგობრებს გაუკვირდათ, ჩემს ქალიშვილს კი შეშურდა. ჩემი ავისმსურველები კი, ვინაც ეს ამბავი გაიგო, ჯერჯერობით დუმან. მაგრამ მე მარტო საქართველოს მოქალაქე კი არა ვარ, არამედ საქართველოში ბევრი ნათესავიც მყავს, რადგან მოქალაქეობის მიღებამდე ორი დღით ადრე, 28 აგვისტოს, მარიამობას, ჩემი მეგობრის ზურაბ დვალის პატარა ქართველი გოგონას ნათლია გავხდი.

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელი იყო აგვისტოს ომის თავიდან აცილება?**

— ვფიქრობ, რომ ეს შეუძლებელი იყო. ლავირება, ომის დაწყების გადავადება შესაძლებელი იყო, მაგრამ სინამდვილეში ეს ომი ხომ უფრო ადრე დაიწყო, 1990-იანების დასაწყისში, ახალი ეტაპი კი — 2004 წლიდან განახლდა. სქემა მარტივი იყო: საქართველო მხოლოდ რუსეთის გავლენის ქვეშ შეიძლება იყოს ანდა საააკაშვილის გარეშე — რეფორმების, დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გარეშე. რუსეთის პოლიტიკა პროგნოზირებადია, რადგანაც ცნობილია, რომ რუსეთში პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად მხოლოდ ომის გზაა მიჩნეული. ამას ნატოს შიშიც ემატება. რუსეთს არ უნდა, რომ საქართველო ევროინტეგრირებული ქვეყანა იყოს. მიამიტია ის ხალხი, რომელსაც ჰგონია, რომ ამ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. ეჭვი მეპარება. რას წარმოადგენს რუსული იმპერიალიზმი, მე ეს ჩემს სამშობლოში, ტაჯიკეთში 1990-იანების დასაწყისში ვნახე. ქვეყანაში თავდაცვის სამინისტროც კი არ იყო, არანაირი საომარი ტექნიკა და იარაღი, იმის გარდა, რომელსაც რუსეთის 201-ე დივიზია ფლობდა. 5 წელი მიმდინარეობდა დაუნდობელი ომი, 150 ათასი ადამიანი დაიღუპა, აქედან 73 ჟურნალისტი, ჩემი მეგობრები. რისთვის? იმის გამო, რომ ტაჯიკეთში დემოკრატიული პარტიები გაჩნდნენ; იმის გამო, რომ იქ ყველაზე თავისუფალი პრესა, თავისუფალი ტელევიზია იყო...

**— რას გრძნობდით აგვისტოს ომის დროს? ამ ომმა რა გააშიშვლა?**

— რუსეთის გამო სირცხვილს ვგრძნობდი. თუმცა იგი ჩემი ისტორიული სამშობლოა, იქ დაიბადნენ ჩემი მშობლები, ჩემი წინაპრები. მე მივხვდი, რომ რუსების უმეტესობას არ უნდა თანამედროვე ფილმის გადაღების შეკვეთა, ჩეკისტებზე დაწერილი რომანის გამო FSB-ს პრემია მიიღო, ანდა მორიგი წოდება გიწყალობონ.

**— ვიცი, რომ ომის შემდგომ რუსეთიდან ხელდამშვენებული ჩამოდიოდით-ხოლმე. მოგვითხრეთ თქვენი საქველმოქმედო აქციების შესახებ.**

— ეს ასე მოხდა. როცა მე აგვისტოს ბოლოს საქართველოდან მოსკოვში დავბრუნდი, დამირეკა მოსკოვის სკოლა ინტერნატის „ინტელექტუალი“ მასწავლებელმა და მკითხა, თუ როდის ვაპირებდი უახლოეს პერიოდში საქართველოში გამგზავრებას. ვუპასუხე, ერთ კვირაში-თქო. მან თავისი მოსწავლეების მიერ ქართველი ბავშვებისთვის დაწერილი წერილები და საჩუქრები — რამოდენიმე წიგნი და კომპიუტერული თამაშების დისკი მომიტანა. მთხოვა ეს გორის დაზარალებული სკოლისთვის გადამეცა. თბილისში ჩემმა კოლეგა ჟურნალისტებმა მითხრეს, რომ ესეთი გორის № 7 სკოლა იყო და მეც ეს საჩუქრები იქ მივიტანე. ოქტომბერში კი უკვე საჩუქრების 100 კგ. მქონდა. პარალელურად მოსკოველებმა სამხრეთ ოსეთიდან დევნილებისთვის ფული შეაგროვეს. მართალია, მოსკოვის აეროპორტში კინაღამ ჩამომართვეს... მითხრეს, რომ საზღვარგარეთ 3000 დოლარზე მეტის გატანა არ შეიძლებაო, მაგრამ მაინც გამიშვეს. ალბათ, ამ გაზაფხულზე მოსკოველი მოსწავლეები გორში ჩავლენ. იმედი აქვთ, რომ მოსკოვში ჩასვლას გორელი მოსწავლეებიც მოახერხებენ.

მე ვიცი, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც რუსული პროპაგანდის არ სჯერათ და მათი რიცხვი იმატებს. არც ისე სწრაფად, როგორადაც სასურველი იქნებოდა, მაგრამ ხალხი აგვისტოს მოვლენებზე რუსული ოფიციოზის პოზიციისადმი ნდობას ნელ-ნელა უკვე კარგავს.

დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეობა, ისინი მზად არიან სძულდეთ ყველანი, ვისაც ოფიციალური პროპაგანდა მტრად მოიხსენიებს. თუმცა ადრე ისინი ბუბა კიკაბიძით აღფრთოვანებული იყვნენ, უყვარდათ ნანი ბრეგვაძე, უყვარდათ საქართველოში ჩასვლა. ომმა გააშიშვლა საშინელი რამ და მე ამას იძულებული ვარ, ხაზი გავუსვა: შევახსენა, რომ ორი ერი სხვადასხვა კულტურულ და მორალურ ნიშში იმყოფება და განსხვავებული ეთიკური მგრძნობელობა აქვს.

**— ამიტომაც დუმდა რუსული ინტელიგენცია?**



— არ არსებობს რუსული ინტელიგენცია. არიან ადამიანები უმაღლესი განათლებით. მაგრამ რუსი, რომლისთვისაც მორალი ცხოვრების ხარისხის განმსაზღვრელია, უკვე აღარ არსებობს. უფრო სწორედ, ახლა უნდა ვისაუბროთ ნომენკლატურულ ინტელიგენციაზე, რომელიც ხელისუფლებას უსმენს, მას მხარს უჭერს, არადა ხელისუფლების სიცრუე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. მაგრამ ასეთი ქცევა ხელსაყრელია, იმისთვის, რომ

იხ. 11 გვ.

## გულის ბუხარი

# „და განცხრომით სხვაგან ყოფნას“... უკვე არა აქვს ჩვენში გასავალი?!

*სამიოდე კვირის წინათ სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში ვნახე როგორ სხდებოდნენ „იკარუსის“ ტიპის ავტობუსში მოქალაქეები. ...წამსვლელ-გამცილებელი იმდენი იყო, ვიკითხე, რა ხდება-მეთქი. მიპასუხეს, თურქეთში სამუშაოდ მიდიანო...*

*როგორც შევიტყვე, მოსახლეობა ორგანიზებულად სხვა რაიონებიდანაც ხშირად გაჰყავთ. თუმცა, სულ მოკლე დროში ერთი ნაწილი თავქუდმოგლეჯილი უკანვე გამორბის.*

მაგრამ იქ რჩება ქართველთა ის ნაწილი, რომელიც შეეგუა მძიმე შრომას, მონური გარჯის ფასად დათანხმდა სამარცხვინო საქმიანობას, პროსტიტუციასაც კი.

ცხადია, ახალგაზრდა ქალებისა და მოზარდების გატყუება მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში ახალი არ არის. ამ სენით დაავადებულია მსოფლიოს ბევრი ქვეყანა. ჩვენთან მოქმედებს სააგენტოები თუ სამსახურები, რომლებიც აბრიყვებენ მოქალაქეებს, საზღვარგარეთ შრომით მოწყობას თუ სწავლების საბაბით ჰპირდებიან ზღაპრულ ცხოვრებას... ასე ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი.

ხელისუფლებისთვის ცნობილია ის სამსახურები, რომლებიც ახერხებენ უმუშევრობითა და უსახსრობით გაწამებულ ადამიანთა დარწმუნებას, ნდობის მოპოვებას და კანონით აკრძალული მონური შრომისთვის სწირავენ ადამიანებს.

მსხვერპლი, ძირითადად, ქალები არიან. თუმცა ლეგალურად და არალეგალურად გასულნი წვრილი ვაჭრობით, ზოგნი ბავშვებისა თუ მოხუცების მოვლით არიან დაკავებულნი. დიდ ნაწილს „დამქირავებლები“ პროსტიტუციას აიძულებენ. ამისთვის კრიმინალები იყენებენ აპრობირებულ მეთოდებს. წინასწარ უხდიან ვიზებისა თუ მგზავრობის ხარჯებს და ამ ხარჯების დასაფარად საროსკიპოებში „მუშაობას“ აიძულებენ.

როგორც ირკვევა, მონური შრომის ბაზარზე წელიწადში მსოფლიოს მასშტაბით 4 მილიონი ადამიანი ხვდება, რაც საშუალოდ 15-17 მილიარდ დოლარის შემოსავალს იძლევა დამნაშავეთა სასარგებლოდ!

ადამიანებით ვაჭრობის არალეგალური ბიზნესი ძალიან მიმზიდველი გახდა ნარკოტიკებით ვაჭრობაზე უფრო უხიფათო და დაბალრისკიანი.

საზღვარგარეთ არალეგალურად წამსვლელთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით ოდნავ დაბალია, მაგრამ მაინც არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია სპეციალური სამსახური, ამ საკითხით დაკავებულია სხვა ორგანიზაციები. თუმცა, ადამიანთა „გადინება“ თურქეთში, საბერძნეთში, ისრაელში, ესპანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში და აზიურ ქვეყნებში არ წყდება. საქართველო არა მხოლოდ სატრანზიტო და მიმწოდებელი ქვეყანაა, არამედ, ნაწილობრივ, მიმღები და მომხმარებელიც. ადგილობრივ პროსტიტუციასა და „სექსბიზნესში“ ჩართულია როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეები, რასაც ხელს უწყობენ მომრავლებული ღამის ბარები, სადაც უკრაინელი, რუსი თუ სომეხი „მეძავები“ „მოღვაწეობას“ ახერხებენ.

არაოფიციალური მონაცემებით საქართველოდან და აზერბაიჯანიდან ერთი წლის განმავლობაში თურქეთში ჩადის ასობით ადამიანი. მათი ნაწილი ქორწინდება თურქეთის მოქალაქეებზე. ასევე, მაღალია არალეგალურად, საზღვრის გადალახვის შემთხვევები. წინა წლების მანჩვენებლით, თურქეთის ტერიტორიიდან (სტამბოლი, ტრაპზონი, ანატოლია და სხვა ქალაქებიძ ათასზე მეტი არალეგულურად ჩასული უცხოელი იქნა დეპორტირებული. მათ შორის რამდენიმე ტრეფიკინგის მსხვერპლია.

ზოგიერთები შემომედავებიან, ჩემს სევდიან ფიქრებს არ გაიზიარებენ: კანონით დაცულია ადამიანთა უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლად გადაადგილებაზე, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობაზე, პატივსა და ღირსებაზე, რომელიც არ შეიძლება ხელოვნურად შეიზღუდოსო!

დიახ, პიროვნების თავისუფლება, პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა, როდი ნიშნავს უმუშევრობითა და უსახსრობით გაწამებული ადამიანების მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. არც პიროვნებაა იმდენად თავისუფალი, რომ საკუთარი უზნეო მიდრეკილებით ჩირქი მოსცხოს საზოგადოებას.

ომსა და სიყვარულში ყველაფერია დასაშვები, მაგრამ როცა საზოგადოების ბედზე ანუ ჩვენივე უსაფრთხოებასა და ზნეობაზეა საუბარი. მას ძველი ნივთივით ნუ მოვექცევით.

ნუ წავახალისებთ საკუთარ ახლობლებს, მეუღლეებს, შვილებს, რომ „სხვაგან“ შეიძლება ბედნიერების პოვნა. არ არსებობს საკუთარ სამშობლოზე უკეთესი. სხვაგან ნაშოვნ 100 დოლარს, აქაური 10 ლარი სჯობს. ისტორიული მეხსიერება გვასწავლის, რომ სხვა ღირებულებებთან ერთად მყარმა ოჯახურმა ფენომენმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა.

ფრთხილად თუ არ ვიქნებით, ვერავინ და ვერაფერი გვიშველის.

**ბორის დავითაია,**
**აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

სხვა გაზეთიდან

*გაზეთ „პოსტ სკრიპტუმში“ გამოქვეყნებული ეს მასალა, რომელიც ინტერნეტ-პორტალ REGLONS.GE-ს გვერდის გამოყენებით მოამზადა ჩვენმა კორესპონდენტმა მურად ალაშვილმა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის. ამიტომაც ვბეჭდავთ მას.*

***„სტუმრის მიღებაზე უკეთესი საქმე არ არსებობს!“ – ეს ოტია იოსელიანისთვის დაუწერელი კანონია. ამიტომაც მიატოვა 11 მარტს ვენახში საგაზაფხულო სამუშაო და შორით მობრძანებულს დაუზარებლად აჰყვა გვიშტიბში, ხოლო იქიდან კვლავ წყალტუბოში, ხელოვნების ქუჩის ნომერ პირველში, თავის მშვენიერ სახლთან მოაქროლა მანქანით.***

***მისი სტუმარი მარტინ ფრანკი ცნობილი ფოტოხელოვანი გახლავთ და მსოფლიო კინოს გამოჩენილი მაესტროს ოთარ იოსელიანის უახლოეს ფრანგ მეგობართაგან – ერთ-ერთი. მრავალი წიგნისა და ალბომის ავტორი, გამოკვეთილი ხელწერის მქონე ხელოვანი, ძირითადად, შავთეთრ ფოტოგრაფიაში მუშაობს. აქვს ღრმაშინაარსიანი მხატვრული სურათები, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები, მსოფლიოს მრავალ კუთხეში გადაღებული ფოტოსერიები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ტიბეტელ ლტოლვილთა თემა. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ წიგნში, რომელიც მარტინ ფრანკმა თან ჩამოიტანა, თავმოყრილია სხვადასხვა პერიოდის საუკეთესო ფოტოები.***

***მარტინ ფრანკი, ფოტოგადაღებების პარალელურად, ხელმძღვანელობს აწგარდაცვლილ მეუღლესთან, ანრი კარტიე-ბრესონთან ერთად დაარსებულ ფონდს. მისი მეუღლე კი თანამედროვეთაგან „ფრანგული ფოტოგრაფიის მეუფედ“ და „XXI საუკუნის ფოტოგრაფიის მამად“ შერაცხული ხელოვანი გახლდათ, რომლის შემოქმედებას გვერდს ვერ აუვლის მსოფლიო ფოტოგრაფიის ვერც ერთი ანთოლოგია და სახელმძღვანელო.***

***მარტინ ფრანკმა სოფელ გვიშტიბის ხედები, სკოლა და ეკლესია გადაიღო. როგორც ბატონი ოტიასაგან შევიტყვეთ, სკოლა, თურმე, ოთარ იოსელიანის წინაპრების ეზოში დგას და შენობის ძველი ნაწილი რეჟისორის მამაპაპური სახლია. გვიშტიბთან ყოფილა დაკავშირებული მისი ერთ-ერთი საუკეთესო ფილმის – „გიორგობის თვის“ გადაღებაც (ამაზე - ქვემოთ).***

***ფრანგ სტუმართან ჩვენი სახელდახელო ინტერვიუ ბატონი ოტია იოსელიანის მონაწილეობით და ქართველი თარჯიმნის დახმარებით შედგა მწერლის სასტუმრო დარბაზში. ასე რომ, დაახლოებით, ასეთი საუბარი გამოგვივიდა...***

# „ახალგაზრდა ქართველ მამაკაცებს ულვაში აღარა აქვთ...“

## ოტია იოსელიანის ფრანგი სტუმრის თვალით დანახული საქართველო

**– როგორც მითხრეს, საქართველოში პირველად 1972 წელს ჩამობრძანებულხართ. ქალბატონო ფრანკ, რა ცვლილებებს ამჩნევთ ქვეყანაში თქვენი პირველი ვიზიტის შემდგომ?**

**ბ-ნი ოტია** (მკაცრად მომმართავს): სტუმარს ამას რავა ეკითხები! რაფრა გითხრას, დამხობილი ხარო. დაქცეული როა ქვეყანა, ამჩნევს, კი.

**მ.ფ.:** საქართველოში ბევრი სიახლეა. პირველ რიგში, ის შევნიშნე, რომ ახალგაზრდა ქართველ მამაკაცებს ულვაში აღარა აქვთ. მაშინ კი, ულვაშს თითქმის ყველა ატარებდა.

**ბ-ნი ოტია** (საერთო სიცილში): ო, კარგია, კარგია! მომეწონა! იმიტომ, რომე, ულვაში სინდისის ნიშანია და არ გვაქვს ახლა სინდისი და ულვაშიც არ გვაქვს!

**მ.ფ.** (ღიმილით): მე ეგ არ მითქვამს.

**ბ-ნი ოტია** (ჩემი მისამართით): არა, არა, მაგან ზუსტად შენიშნა! მაგი იგულისხმებოდა სწორედ ქვეტექსტში! ვერ გასწავლეთ მე თქვენ წერა-კითხვა და აზრის გამოტანა: რაც ქვეტექსტშია, ის უნდა ამოიკითხო, თორემ ზევით რა დევს, ამას ყველა ქე კითხულობს.

**– რამდენად საინტერესოა საქართველო, აქაური გარემო, ჩვენი ადამიანები თქვენი ფოტოობიექტივისათვის?**

**მ.ფ.:** რა თქმა უნდა, საინტერესოა. ამიტომაც დავბრუნდი მრავალი წლის შემდეგ საქართველოში. ჩემი ერთ-ერთი სურვილი ისიც იყო, ამ დაბრუნებისას მეცადა ოთარის მეგობრების მოძებნა. 72-ში, როცა აქ ჩამოვედი, ფაქტობრივად, ოთარი ერთადერთი ქართველი გახლდათ, რომელიც გავიცანი და დავმეგობრდით. მის გარდა ვიცნობდი მხოლოდ სერგი წულაძეს.

**ბ-ნი ოტია:** ვინც ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ფსიქიატრი იყო, სხვათა შორის.

**მ.ფ.:** რამდენადაც მახსოვს, როცა 1972 წელს ვიმყოფებოდი საქართველოში, სტუმრად არსად დავდიოდი. ვფიქრობ, მაშინ ცოტა საშიშიც კი იყო ოჯახებისთვის უცხოელების სტუმრად მიღება.



**ბ-ნი ოტია:** კი, ბატონო, ჭეშმარიტად!

**მ.ფ.:** იმიტომ, რომ მაშინდელი ჩვენი მოგზაურობა ორგანიზებული იყო „ინტურისტის“ მიერ, გვქონდა მკაცრად განსაზღვრული პროგრამა და ჩვენ იძულებული ვიყავით, ამ პროგრამას ზედმიწევნით მივყოლოდით. მაშინ, რა თქმა უნდა, ოთარი ამ პროგრამაში არ იყო ჩართული, რაოდენ ძნელი წარმოსადგენიც არ უნდა იყოს დღეს ეს! ოთარის ნახვის ერთადერთი საშუალება მხოლოდ დილით გვქონდა, სულ მცირე ხნით, სანამ ექსკურსიებსა და ოფიციალურად დაგეგმილ შეხვედრებზე წაგვიყვანდნენ.

ახლა კი ჩემი ყველაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება სწორედ ისაა, რომ მრავალ საოცარ ოჯახში დავდივარ სტუმრად და, სადაც არ უნდა მივიდე, ყველა ძალიან კარგად მიღებს.

**ბ-ნი ოტია:** არ მიგიშობდენ, თორემ მაშინაც ქე მიგიღებდენ.

**– მაშასადამე, ბატონ ოთარ იოსელიანთან 1972 წლის შემდეგ მეგობრობთ?**

**მ.ფ.:** დიახ, დიახ.

**– როგორია თქვენი, ანუ ფრანგის, თვალით დანახული კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი?**

**მ.ფ.:** რა თქმა უნდა, საფრანგეთში იგი ძალიან დაფასებულია. ბუნებრივია, ოთარი არ არის დიდი პუბლიკის რეჟისორი, იგი ყოველთვის აკეთებს იმ კინოს, რომელიც მას უნდა და მას მოსწონს, ის ძალზე სუბიექტური კინემატოგრაფია, ნამდვილი კინემატოგრაფი! და ვიმეორებ, ნამდვილად ძალზე დაფასებული შემოქმედია. ის არის ავტორი, რომელსაც თავისი მკვეთრად გამოხატული სტილი და ხელწერა აქვს!

**– მისი რომელი ფილმი მოგწონთ განსაკუთრებულად?**

**მ.ფ.:** „იყო შაშვი მგალობელი“. უნდა გითხრათ, რომ ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდი, მისი ფილმები, საგანგებოდ, კიდევ ერთხელ ვნახე. საფრანგეთში ახლახან გამოვიდა ოთარ იოსელიანის ფილმების მთლიანი კრებული და შესაძლებელია, რომ ყველაფერი საფუძვლიანად ნახო.

**ბ-ნი ოტია:** სხვათა შორის, „გიორგობისთვის“ პირველი კადრები, ნახევარზე მეტი, გვიშტიბშია გადაღებული. ჩვენ იქ ვიყავით ახლა, სადაც იღებდა ოთარი ამ ფილმს. ხოდა, რა ქვიან, ჩამოვიდა მაშინ ოთარი, ჩამოიყვანა სოფელში მთელი სტუდია. ბაბუამისს კი იცნობდენ, მარა მაგას კაცი აღარ იცნობდა მაშინ. მითხრა, შემიკრიბე აქანე ხალხიო, შენ იციო ყველაფერიო და დევიწყეთ გადაღება. ჯერ ბობოხიძის ეზოში ვიღებდით, მერე კიდო – კუჭავას ეზოში (ახლაც გვინდოდა, ის სახლები გვენახა, მარა საღადაა უკვე!). ხოდა, მაშინ გეიმართა მანდ სუფრები, მაგენმა გაშალეს და...

როგორ გინდა, ბიჭო-მეთქი, ვეკითხები ოთარს.

რაფერი, იყოს ისე, როგორც უქნიათო. ეგ ხომ არაფერს გამოიგონებს: იღებს ზუსტ ცხოვრებას! რამდენიმე დღე ვმუშაობდით... ფილმი გვიშტიბლებით არის სავსე, მამიდაჩემიც არის იმაში. მერე, ერთი ხანი, ფილმი კი აკრძალეს, შეიქნა ერთი ამბავი, 49 რომ იყო კასრზე მიწერილი: 49 წლისთავი იყო მაშინ რევოლუციის... და ამან ჯვარი გაუკეთა!

**მ.ფ.:** როცა საქართველოში ჩამოსვლა დავაპირე, ოთარს ვკითხე, შენ რას მირჩევ, ვის შევხვდე-მეთქი და – პირველ რიგში, ოტია იოსელიანსო. მაგრამ, რაკი ზამთარში მოვდიოდი, არ გახლდით დარწმუნებული, შეძლებდით თუ არა თქვენ ჩემს მიღებას.

**ბ-ნი ოტია:** სტუმარზე უკეთესი საქმე არა გვაქვს ჩვენ.

**– საინტერესოა, რომ ბატონმა ოთარმა უპირველეს მასპინძლად ჩვენი გამოჩენილი მწერალი ოტია იოსელიანი შეგირჩიათ. ის ხომ იშვიათი გამონაკლისია ქართველთაგან: არ უყვარს სტუმრის წინაშე ზედმეტი თავმომწონეობა, მუდამ მწარე სიმართლეს ამბობს, შეულამაზებელ საქართველოს დაგანახებთ...**

**მ.ფ.:** მე ვფიქრობ, სწორედ ამას აფასებს ოთარი.

**ოტია იოსელიანს პომპეზური სუფრა არ გაუშლია, ლიტერატურაზე, კინოზე, ფრანგულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებსა და სხვა თემებზე საუბრისას, შინაურულად დაიპატიჟა სტუმარი იმერულ ფხალზე, ხაჭაპურზე, მჭადსა და ყველზე – ჭიქა „უსახელოურის“ თანხლებით.**

**ვფიქრობ, ქალბატონი ფრანკი, ყველაზე მეტად, სწორედ ამ თბილმა გარემომ და გულწრფელობამ მოხიბლა.**

**ნანული ცხვედიანი.**

გამოცა

# „ხელეური“ ძველი სამრეკლოდან დავლოცოთ

**უცნაური გოგონაა ჩვენი თამარქალი.**

**სევდიანი, დარდიანი, გვერდითმდგომი სამეგობროდ და... მომფერებელ-დამნახავი ყოველგვარი რომანტიულობისა.**

**აბა ნახეთ, რასა წერს და რას აგვირისტებს... ცრემლმოსადინებელსა და გასათავისებელს:**

**„დარდებს რა ჰქონდათ სადავო,**
**წყურვილი მკლავდა წვიმისა,**
**პეშვებით სული მომქონდა**
**იდუმალი მზის სხივისა“.**

მხოლოდ თამარ შაიშმელაშვილს შეეძლო „პეშვებით სულის მოტანა“... მხოლოდ თამარს შეეძლო მოხელეურება ქართველ მწერალ-პოეტთა გულისთქმისა. ერთ ბღუჯად შეკვრა, გალამაზება, ჟურნალად შეკოწიწება, მოფერება და ამ არეულ დროში გამომზეურება.

„ხელეურიო“.

„ხელეური“ დაურქმევია თამარ ქალს თავისი ჟურნალისათვის. ადექით და სიტყვამჩხიბავებმა ჩვენს დიდ საბას მიაკითხეთ სიტყვათახსნაში. რასა ნიშნავს? „ხელეური ნამგლით მომკილ პურსა ნიშნავსო, რომელიც ერთ ხელში თავსდებაო. თანაც ყანა მონამგლურიო“. ჩვენი დიდი ილია კი ხვავსა ადარებს – ხორბალსაცა და მათ შორის ბალახ-ბულახსაც.

ამდგარა ჩვენი თამარი და მოუხელეურებია ქართველთა სიტყვის მარცვალი, არც უცხოელნი დაჰვიწყნია და არც შინაურნი. ქართული სიტყვაკაზმულობის დამფასებელი და გვერდით მდგომი, ჩვენი გამოცდილი კოლეგა იულონ ტოლიაშვილი შეუხიდებია ამ ლამაზი ჟურნალი-კრებულის გამოცემისთვის.

მერე ვინაო, ვინ აკურთხა და ვინ ხელდასხმა გაუკეთა ასეთ საოცარ დროსა და ჟამს გამოცემულ „ხელეურს“, როცა მავანნი წიგნსა და ნაწერს არად მიიჩნევენ და ლამისაა „დედაენა“ დაივიწყონ?!

მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი მეუფე ანანია ჯაფარიძე, ჩვენი მგოსანი ჯანსუღ ჩარკვიანი, ჩვენი დაიკო მანანა ჩიტიაშვილი, მშვენიერ წიგნთა გამომცემელი და ლიტერატორი კახმეგ კუდავა და ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორი ლევან ბრეგაძე.

გზა დაულოცნიათ ამ ახლადფეხადგმული ჟურნალისთვის.

დაულოცნიათ და თამარსაც პირველად ჩვენი დიდი ნოველისტისა და განმანათლებლის ნიკო ლორთქიფანიძის „გულით“ გაუხსნია საკინძე „ხელეურისა“.

მერე?

მერე მოჰყვება და მოჰყვება მოხელეურებული საოცრებანი...

ახლად გარდაცვლილი, უდროოდ წასული გულქართლი კაცის, სიტყვაოსტატ ნუგზარ შატაიძის „ახრიზამანი“, იქ თემურ შავლაძეო, აქეთ ჩვენი მარიამ წიკლაურის გულისამონათქვამიო, ლაშა გვასალიას მშვენიერი პროზა და მარიამ უგუზაშვილის დებიუტიო, რეცენზიები და თარგმანებიო, მეუფე ანანიას გულისტკივილით ნაწერი – თუ როგორი აუცილებლობაა რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვისაო, თეკლა ბატონიშვილის ერთი ლექსითა და ნინო ხოფერიას ბაზო დადიანისეული გახსენებები.

„ხელეურის“ პირველ ნომერს, რომელსაც სულ მალე, 7 აპრილს გზას დაულოცავენ ქართულსიტყვა-მადლმოწყურებულნი და ამ მადლშემფასებელნი, არა ეტყობა რა ბალახ-ბულახგარეულობისა, იგი თამარ შაიშმელაშვილის ხელით მხოლოდ მომკილ-შებოჭილია.

მოვეფეროთ ახალ ჟურნალს, რომლის ყდასაც




დიდი ხელოვანის ელენე ახვლედიანის „ძველი სამრეკლო“ ამშვენებს.

ალბათ სიმბოლურიცაა... ძველი სამრეკლოდან მოგუგუნე ზარმა დაულოცოს გზა „ხელეურს“.

ჟურნალი კი „მაცნეს“ ჯიხურებში შეგიძლიათ შეიძინოთ.

**მამუკა ვაშაკიძე**

ცხელ გულზე!

# იცოდეთ: სხვისი მამლობა – ჩვენი დედლობის ბრალია!

## ნაცნობ უცნობს – უცნობი ნაცნობისგან




### საკანი №5

იყო ვეფხვი, იყო მოყმე –
დრო სავეფხისტყაოსნე –
დრო „საოქროსსაწმისე“ და –
ცრემლებში სანაოსნე!
იყო მკვდრეთი – ბაზალეთი –
თავის „ოქროს აკვნითა“!...
თეთრი ღამით, შავი დღეთი –
ზარ-ზეიმით-ზაკვითა!
ძმათა ძმობის ფიც-ვერცხლით თუ –
ძმათა მტრობით გაფიცვის –
ერთგულების – ორგულობით –
მტრობისთვის ძმადნაფიცის!
ძმობის მცოდნე იყო ცოტნე
და „კოხტას შეთქმულება“ –
შერგილები, მათი ძენი –
გენის გონის გუნება!..
...იყო ბერი თევდორე და
იყო ცოტნე, პაატა –
ჟამი, რამდენ სახელოვანს
უსახელოდ გაატანს –
ჟამთა სვლასა...
მოგვიმრავლდა
საფლავები უცნობთა,
დრო, რომელიც ამ დროებას
ფეხის ხმას ვერ უწყობდა!
დრო, რომელიც უძღებ შვილებს
უფსკრულისკენ უძღოდა,
დრომ, რომელმაც დროს გამოცდას
დროში ვერ გაუძლო და –
დრო, რომელიც რასა იქმდა,
იმას არა უწყოდა!
დრო, – ამ მედროვეობას, რომ
უდროობა უწოდა!
...რუსთაველის გამზირს გია
აბესაძე აჩნია!
მან საკუთარ თავსაც სძლია,
დრომ კი ვერც შეამჩნია –
გმირი!
კაცი სანთელ-კვარობს,
დაიფერფლა ძმათათვის –
სისხლიანი იდგა კალო
ქრიშობის თუ მკათათვის!
...აგერ, თვალწინ იბადება
ისტორიის საგანი,
როცა ხალხი გმირი ხდება
და გმირს იტევს საკანი!
ციხეებიც ბევრია და
დამწყვდეული სიმართლეც.
პატიმრობას ციხე ჰქვია,
სიმამაცეს – სიმაგრე!
სამშობლოსთვის თავდადება
თავგანწირვის მცდელობა,
დადიანის დადიობა –
„საიდუმლო სერობა“ –
დრო და ჟამი ვერ დაუწყებს
ამ მაგალითს ცილობას,
გაუმარჯოს
გია-2-ის
ცოტნეიდურ გმირობას!

### ცხრიანში მოსარტყამი სიტყვა

1 აპრილი – სიცრუის დღე არის
9 არის სიმართლის დღე!...
და თავისუფლება თუ
ნატვრის ხე არის,
დღეს ის ხე... გაქციოთ ტყედ!
საილუსტრაციოდ თუ
სალუსტრაციოდ –
ვინ არის კაცი და ვინ არაკაციო!..
მოდით – არც ვაცხელოთ და
არცა ვაციოთ,
ვაქციოთ ეს ფაქტი
სადემონსტრაციოდ!...
ვინ არის მომხრე და ვინ წინააღმდეგი,
აღსდექით, ხალხნო და ცალ-ცალკე
დადექით! –
ზოგი რუსთაველზე, ზოგი – იპოდრომზე,
ღმერთი არ გაგიწყრეთ – იფიქროთ
სხვა ომზე!
არჩევან-არადანს ჩვენ სხვა
ვერ გვასწავლის –
ჩვენში ყელამდეა უსწავლად ნასწავლი!
აქ, ჭრელ აბანოშიც, გაარჩევ თეთრს
და შავს –
ყველა ყვავს – თეთრს და შავს –
მისი ბახალა ჰყავს!
...თუმც, შემოდგომაზე ითვლიან
წიწილებს,
აპრილის პლებისციტს ჩვენ
ვერ ავიცილებთ;
ეს აზრი... უაზროდ კიდეც რომ
გაბაზრდეს –
ამ აზრზე მოსულა თვით კობა ხაზაზი!
რაც შაჰ-აბასივით უცხვია ნამაზი –
კაპიკის ფასი აქვს...
თუ გნებავთ – აბაზის!
...ისე კი, ჭკუასთან ახლოა სარჩევად,
სად მეტი ხალხია? – ამისი გარჩევა.
„ფრთხილად, ქართველებო!“
სინჯეთ!
თუმც, არ გირჩევთ –
ხალხის თავყრილობას –
თვალის შესაჩვევად!

### 2009

პროსკრიფციებით თუ...
პროკლამაციებით...
ინტერვენციებით...
ინდულგენციებით...
ლათაიებით და...
ვაკქანალიებით...
სხვისი მისიებით...
და კომისიებით...
ექს –
პრესიებით თუ...
პროპრიაციებით...
პატრიაციებით...
და ექსორიებით...
ექს-პოზიციებით...
ექს-ჰუმაციებით...
ექს-პანსიებითა...
და რე-აქციებით...
ლუსტრაციებით თუ...
ილუსტრაციებით...
მოუნანიებლად...
თუ მონანიებით...
პროვო-კაცუნების...
პროვო-კაციებით...
სულის გაცეცხლებით...
გულის გაციებით...
პოლიტორგიებით...
გაწამაწიებით...
კონფრონტაციებით ...
კონფისკაციებით...
თუ მიმიკრიებით...
საკაფ-კაფიებით...
სამარის ჭიებით...
ეპიტაფიებით...
თეთრი ღამეებით...
და შავი სიებით...
იმედის მთიებით...
თუ ცხელებ-ციებით...
სიმართლის ძიებით...
და რია-რიებით...
„მოდის გაზაფხული...
დაზაფრულ იებით...“

* * *

ისტორია ზოგჯერ ჰგავს
მაოხრებელ მკვდარს;
დრო მიდის და დრო მოდის და
იჯახუნებს კარს;
წინ იყურე, როცა უკან მოიხურავ კარს.
ყარსის ხელფეხშეკრულება...
მკვდარ სულადაც ყარს.
ისტორიის გაკვეთილი შეგვახსენებს თავს,
ჩვენ „ოინი“ მოვუწყეთ და
გვეუბნება „დავს“!
ნეტა, იმას, ვის წარსულსაც
მომავალი ჰყავს –
ვაი, იმას, ვინც წინაპრის
საფლავებსა ხნავს!

* * *

საქართველოს ვეღარ იცნობ –
სხვა სამოთხედ დაგვხატეს.
შვეიცარიას დაგვპირდნენ –
შვეიცრები გაგვხადეს!

* * *

„ძაღლი ყეფს“ და... შეცდომაა დიდი:
„ქარავანი მოდის“ – და „არ მიდის“...
ჩვენი ყოფა არ იქნება „მშვიდი“,
ამ სიტყვაში სანამ შფოთავს – „7“.

* * *

თქვენ გვირჩევთ!
ჭკუას მოვუხმოთ
და ენას კბილი ვაჭიროთ.
და ისე ვილაპარაკოთ,
როგორც თქვენ ჩათვლით საჭიროდ!

* * *

ასლი დედანთან... სწორი არ არის.
თუმც დასავლეთის კოპირებაა...
ეს, სამწუხაროდ, დემოკრატიული
კი არა –
დეკორატიული წყობილებაა!

* * *

ძაღლის თავი ჯერაც ვერ გვიპოვია –
ვეღარ ვარჩევთ თეთრია თუ შავი –
ახლა ისიც საძებარი გვქონია:
სად მარხია ინდაურის თავი?

* * *

ტელერეკლამაზე სწერია, რომ...
ცხოვრებაზე არ ითქმის ძვირი.
„ცხოვრება მშვენიერია!“ –
ისე დაუმშვენდა ცხვირი!

### ვარდების რევოლუციას, ეკლების რეზოლუცია!

ვარდისფერი სიცოცხლის გზა
სიკვდილს უფრო ჰგავდა:
„სიკვდილის გზა არრა არის
ვარდისფერ გზის გარდა“ (გალა)

* * *

მე თუ მკითხავთ –
ეს არის სწორი სულისკვეთება:
კაცის გადაკეთებას...
სჯობს... ახლის გაკეთება!

* * *

აი, კიდევ ერთი ახალი
„რობინ ჰუდი!“ –
თავისუფლებასთან საბრძოლველად
შეიქმნა –
თავისუფლების ინსტიტუტი!

* * *

სად თქმულა, სად გაგონილა
ჩრდილის მზეობა?...
ჰოდა, ჩვენი ბრალიც არის
მისი ზეობა!
მაშასადამე...
ვერ გვაქვს, ძმაო, კარგად საქმე –
მიშასა და მე!

* * *

დაეჭვდე, ვინიცობა –
რა და რითი იცნობა? –
რეიტინგი ხანდახან ჰგავს
რეიტინგიცობას!

* * *

ქვეყნის ბედი წყდება არა პიარით,
სინდის-ნამუსს ნუ გადააბიჯებო!
აპრილი ხომ ტყუილების თვე არის –
არ გაბრიყვდეთ, არ მოტყუვდეთ,
ბიჭებო!

* * *

სახეები ახალი –
ძველის შთამომავლობა –
ეს „დეფაქტო“ კი არა –
„დეფექტოა“ მთავრობა!

* * *

თუნდაც... ბოლოდან პირველი!
სულ პირველობით ქებული! –
„ქორწილში – სიძე იყოს და
ტირილში – მიცვალებული!..“
ასეთი სურსო პრეზიდენტს
სახელიცა და დიდებაც –
სხვა ყველა და ყველაფერი
ერთ ადგილს დაეკიდება!

* * *

სიმართლის თქმას ვერ ვბედავ...
და სეტყვა სიტყვას მესვრის.
თვალებით – სხვას ვხედავ და
ყურში კი – სულ სხვა მესმის?!...

* * *

დღეს ქალი კაცობს,
კაცი კი...
ზის სახლში როგორც ქალია –
იცოდეთ: სხვისი მამლობა –
ჩვენი დედლობის ბრალია!

* * *

რისთვის ვშრომობთ?
ვისთვის ვომობთ?
ვინ გაზომოს,
ოცნებიდან – სინამდვილის მანძილი –
როგორ მოჩანს ისტორიის სამზერიდან...
9 აპრილი –
რუსთაველის გამზირი?

* * *

სხვა საქართველო სად არის –
რაცა გაქვთ, მას რომ იმეტებთ? –
იმედი ბოლოს კვდებაო –
ახლა ვკლავთ იმ ჩვენს იმედებს!
არ მოვა გაზაფხული და
არ გაიხარებს იაო –
ქართველო, უსაქართველოდ,
რა საქართველო გქვიაო!

* * *

ვის ენდო და ვის არ ენდო! –
კაცსა ცნობენ კანჭებში –
უცხოური გრანტი მიდის –
შინაურის ღრანჭებში.

* * *

რაჭულად მეხი – ქვემეხია!...
ვინაც თავისას ახარებს ჭიას,
როცა 1 ჭამს – 1000-ებს შია! –
ვისი უფალიც საფულეშია –
მისი „სამოთხე“ ჯოჯოხეთშია!

### 08.08.08.

„ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი“ –
„აგვისტოს მოვლენები კი არა“!
ჩვენ იგი წაგებით მოვიგეთ –
ვაქციეთ აქცია – პიარად!
დიახ!
დამარცხებით გავიმარჯვეთ,
მტერს სულ კუდით ქვა ვასროლინეთ.
ჩვენ იმათ ვეძახდით ურა-ქაჯებს –
მათ ჩვენს ხსენებაზე ასლოკინებთ!

* * *

„რაც გვინახავს – ვეღარ ვნახავთ –
ის დროება წავიდა...
აფსუს!
ცხოვრება – სიცოცხლის ზეიმიდან –
არსებობის საცოდაობამდე დავიდა!

### არა, რო?

სიყვარულით შეკრული ხალხი ერია! –
სიძულვილით შეკრული ხალხი – ბრბო!
არა, რო!

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შეთანხმების მიუხედავად, რუსეთი ინარჩუნებს თავის ჯარებს საქართველოს ტერიტორიაზე

**რუსეთის ჯარები დღემდე იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიის იმ რაიონებში, რომელთა გათავისუფლებასაც კრემლი აპირებდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ოფიციალური შეთანხმების პირობით. ეს ნიშნავს, რომ შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი პირობა შეუსრულებელია.**

ამას წინათ ორი ჟურნალისტი იმყოფებოდა ამ რეგიონში და მათ თვალნათლივ დაინახეს რუსეთის ჯარების ყოფნა იმ მიწებზე, რომლებიც შარშან დაიპყრეს. რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების თბილი შეხვედრის შემდეგ თბილისში ეჭვი შეეპარათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოსთხოვს რუსეთს შეთანხმების სრულ შესრულებას.



საბრძოლო მოქმედებათა დამთავრების შემდეგ რუსეთმა, მართლაც, გამოიყვანა ბევრი ქვეითი და სატანკო ნაწილები ომამდელ პოზიციებზე და ბევრ ქართველ ლტოლვილს მიეცა საშუალება დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში. „მაგრამ, თუმცა ევროპელი მეთვალყურეები დიდი ხანია იმყოფებიან რეგიონში, რუსეთი კვლავ ინარჩუნებს დიდ რაიონებს, ათასობით ქართველს კი არ ეძლევათ საშუალება, შევიდნენ თავიანთ სახლებში სადავო ტერიტორიებიდან დაშორებით".

ყველაზე ცხადი მაგალითებია კოდორის ხეობა და ხევი ქალაქ ახალგორთან. ორივე რაიონში ბევრი ქართული სოფელია, რომლებიც დატოვეს ნაწილობრივ ზამთრის პერიოდში. რუსეთის ჯავშანტექნიკა რჩება თავდაცვის პოზიციებზე ახალგორისკენ მიმავალ გზასთან, კეტავს ხეობაში შესასვლელს. რუსეთს აგრეთვე უჭირავს გამაგრებული პოზიციები და ბლოკ-პოსტი პერევში და სამეთვალყურეო პუნქტი სოფელ ორხევის მახლობლად. ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის მონაცემებით, უკანასკნელი თვეების განმავლობაში რუსეთის მხარე ასუფთავებდა ტერიტორიებს იმის გარეთაც, რომლებიც მას უკავია, სადემარკაციო ხაზის გასწვრივ კი ჰაერში დაფრინავენ შვეულმფრენები, გაიყვანეს აგრეთვე სამხედრო დანიშნულების გზატკეცილი, რომელიც ახალგორს ცხინვალთან აკავშირებს.

ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის ხელმძღვანელის მოადგილის ჟილ ჟანვიეს სიტყვებით, რუსეთმა აცნობა დიპლომატებს, რომ მისი ორმხრივი შეთანხმებანი სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, რომელთა დამოუკიდებლობაც კრემლმა უკვე აღიარა, აუქმებენ პირობებს ჯარების გამოყვანის შესახებ.

ს.ჯ. ჩივერსი

The New York Times

## დედამიწის ზურგზე

**ტაილანდისა და კამბოჯის საზღვარზე მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებანი: ბრძოლა წარმოებს ძველი ტაძრისთვის**

ეს ქვეყნები ერთმანეთს უშენენ ბომბებს, ჯარისკაცები ერთმანეთს ავტომატებს ესვრიან. კამბოჯა და ტაილანდი ერთმანეთს ედავებიან ტერიტორიას პრეახ ვიხეარის ტაძრის მახლობლად, რომელიც XI საუკუნეშია აგებული. იტყობინებიან, რომ დილით ტაილანდის ჯარები შეიჭრნენ კამბოჯის ტერიტორიაზე.

* * *

**ბარაკ ობამას რეზიდენციამ ჟურნალისტებს ახალი მომსახურება შესთავაზა: სექსი ტელეფონით**

„გაქვთ ფარული სურვილი? თუ გინდათ უხამსობა და გარყვნილობა, მაშინ სწორად მოსულხართ", ესმოდათ ჟურნალისტებს, რომლებიც რეკავდნენ თეთრ სახლში პრესბრიფინგზე აკრედიტაციისთვის. და რაც ყველაზე მეტად ჟურნალისტებს აოცებდათ, ეს იყო ის, რომ „ახალ მომსახურებას" არაფერი საერთო არ გააჩნდა საპირველაპრილო ხუმრობასთან.


გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საჯარო შეტყობინების შესახებ

თვალსაზრისი

# ოლეგ პანფილოვი: რუსეთის გამო სირცხვილს ვგრძნობდი...

(მეშვიდე გვერდიდან)

**— აგვისტოში რა იყო რუსული მედიის „სცილა და ქარიბდა"?**

— 2001 წლიდან რუსეთში პროპაგანდის საბჭოური ტრადიციები აღდგა. NTV-ს ძველი გუნდის გაქრობის შემდეგ ახლა ყველა 6 ნაციონალური ტელეარხი მხოლოდ ოფიციალურ პოზიციას აჟღერებს. მხოლოდ RENTV განსხვავდება რამდენადმე, მაგრამ ამ ტელეკომპანიის მაუწყებლობის ტერიტორია პატარაა. ტრადიციულად რუსეთში, ისევე როგორც ყველგან პოსტსაბჭოთა სივრცეში, ტელევიზორს მოსახლეობის 97 % უყურებს. ბევრს სჯერა იმისა, რასაც ტელეეკრანიდან ეუბნებიან. რაღაც ალტერნატიული ინფორმაცია მედიის მხოლოდ 5-6 პროცენტმა შეიძლება გასცეს. შესაბამისად, მათი მკითხველის რაოდენობა იგივეა — 5-6 პროცენტი. ასე რომ საუბარიც არაა რუსულ მედიაში აგვისტოს ომის ნორმალურ გაშუქებაზე. ეს წარმოუდგენელია. ავტორიტარული რეჟიმის მმართველობის სახელმწიფო ამის უფლებას არავის მისცემს.

**— 2008 წლის აგვისტომდე რუსეთის პრესა საქართველოსთან საომრად მზად იყო. ახლა კვლავ საუბრობენ საბრძოლო მოქმედებების განახლებაზე. როგორია რუსული პრესა ახლა?**

— უკვე 6 წელია ჩვენს ორგანიზაციას აქვს საიტი www.pankisi.info, რომელსაც ამას წინათ სხვაგვარად ეწოდა — www.georgia.net. იქ ჩვენ ვათავსებთ ყველაფერს იმას, რაც რუსულ პრესაში საქართველოს შესახებ იწერება. მხოლოდ იშვიათ — მოსკოვის 2-3 გაზეთს აქვს სურვილი, რომ ალტერანტიული აზრი გააჟღეროს. ტელევიზიაზე კი არც ვსაუბრობ. არის რადიოსადგური „ეხო მოსკვი", რადიო „თავისუფლება", BBC და „გერმანული ტალღა". რასაკვირველია, ყველაზე თავისუფალი ტერიტორია ინტერნეტია. მაგრამ კვლავ ვიმეორებ, რაოდენობა ადამიანებისა, ვისაც ხელისუფლებისა არ სჯერა, მხოლოდ 5-6 პროცენტს უდრის.

**— ისედაც ოკუპირებული საქართველოდან კვლავ მტრის ხატს ქმნიან?**

— საბჭოთა პროპაგანდის ტრადიცია, რომელიც რუსეთში აღდგა, ორი სახის მტერს ქმნის — გარესა და შიდას. „ახლო საზღვარგარეთის" გაჩენასთან ერთად შუალედური მტერიც გამოჩნდა. ახლა ესენი საქართველო და უკრაინაა. გარე მტერი მთლიანად აშშ და დასავლეთია. შიდა მტრები კი იცვლებიან: საბჭოთა პერიოდის დროს ესენი იყვნენ: ინტელიგენცია, ჯაზის მოყვარულები, ლიბერალი მწერლები; 10-12 წლის წინათ — ჩეჩნები, კავკასიელები, „ისლამისტები"; ახლა — პოლიტიკური ოპოზიცია — ლიმონოვი, კასპაროვი, კასიანოვი. „ანტიუკრაინიზმი" — უნიკალური მოვლენაა, რომელიც აგებულია სისულელეებზე, რადგანაც უკრაინელები — ისეთივე მართლმადიდებელი ქრისტიანები და სლავები არიან, როგორც რუსები. ამიტომ იგონებენ სხვადასხვა ისტორიებს, რომელიც მოწოდებელია უკრაინელების წინააღმდეგ რუსების განსაწყობად. ეს ძალიან ჰგავს „ანტიგრუზინიზმს", იმ მიზეზის გამო, რომ საქართველოს მსგავსად უკრაინასაც უნდა დასავლეთთან და ნატოსთან მეგობრობა.

**— რუსებმა ამდენი სისხლი და ფული ჩაანთხიეს ჩეჩნეთში, რათა ჩეჩნეთი არ გაეშვათ. ახლა აქვთ იმის განცდა, რომ ჩეჩნები „თავისიანები", რუსეთის მოქალაქეების არიან? საერთოდ რუსებს აინტერესებთ რა ქვეყანაა და დაემართა ჩეჩნეთს ანდა საქართველოს 88 წლის წინათ რუსი ბოლშევიკების გამო. ეს ხომ მათი ისტორიაცაა?**

— თქვენ, ალბათ, გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ რუსეთში ამ ისტორიის შესახებ მხოლოდ ერთეულებმა იციან. რუსებმა თავისი ისტორია არ იციან და თქვენ გინდათ, რომ მათ სხვისი ისტორია იცოდნენ? თუმცა 1921 წლის ისტორია — რუსეთის ისტორიაცაა. ეს იყო რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ოკუპაცია გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ. ვიმეორებ, საქართველოსა და რუსეთს განსხვავებული ისტორია, თავისი სახელმწიფოს განვითარების განსხვავებული პერიოდები აქვთ. ამიტომ არ შეიძლება რუსებს მოსთხოვო, რომ გაუგოს სხვა ერს, რომელსაც თავის ისტორიაში უფრო მეტი განსაცდელი შეხვდა.



**— თქვენ ხშირად ჩადიხართ საქართველოში და ხედავთ რა ხდება იქ. საითკენ მიდის საქართველო, ქართულ საზოგადოებაში რა არის დასავლური?**

— მე იმედი მაქვს, რომ საქართველო საბჭოთა მენტალიტეტისგან გაქცევას გააგრძელებს. ეს არის ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა, რადგანაც საბჭოთა მემკვიდრეობა რეფორმების, განვითარების, ეკონომიკისა და პოლიტიკის მუხრუჭია. მე ხანდახან მეჩვენება, რომ ბევრი ქართველი ვერ აცნობიერებს, თუ რა შორს მოახერხა მან გაქცევა, თუ შევადარებთ სიტუაციას, რაც მის სამეზობლოში ხდება. გარწმუნებთ, რომ თქვენ თვალჩაციებით მარტო მტრები კი არ გაკვირდებიან, არამედ თანამგრძნობნიც, რომლებიც მალევე თქვენი მეგობრები ხდებიან. როცა მე აზიაში ხალხს ვუყვები იმის შესახებ, თუ რა რეფორმები ტარდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, არ მიჯერებენ, რადგანაც ეს მათ საბჭოურ მენტალიტეტში არ ჯდება. ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში: თუნდაც პასპორტის აღების პროცედურა, რიგებისა და ქრთამების გაქრობა. საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტობა, რომელსაც მე ხანდახან ვხვდები — ეს ფანტასტიკაა! ეს ახალგაზრდობაა, რომელმაც იცის, თუ რისთვის სწავლობს. მე ვიმედოვნებ, რომ საქართველო ამ გზას არ გადაუხვევს. მაგრამ ამისთვის საზოგადოებამ კანონის მიხედვით ცხოვრება უნდა ისწავლოს. მარტო ხელისუფლებას კი არ უნდა მოსთხოვო კანონმორჩილება, არამედ თავად უნდა დაემორჩილო კანონს.

**— თუ შევადარებთ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებასა და ოპოზიციას, რას დავინახავთ?**

— რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებას არაფერი აქვს საერთო. არ შეიძლება შევადაროთ ადამიანები, რომლებმაც შესანიშნავი განათლება ევროპასა და აშშ-ში მიიღეს იმ ადამიანებს, რომლებიც, ძირითადად, დახურულ სასწავლო დაწესებულებებში, უპირველესად KGB-ში სწავლობდნენ. ბოლო ხუთი წლის საქართველოს მთავრობას მე „კრიზისის მენეჯერებს" ვუწოდებდი, რომლებმაც იციან, თუ როგორ გამოიყვანონ ქვეყანა მკაცრი კრიზისიდან. მათ გამოიყვანეს საქართველო იმ ქაოსიდან, რომელიც მე 2002 წელს დამხვა, როცა საქართველოში პირველად ჩავედი.

რუსულ და ქართულ ოპოზიციას აქვს საერთოც და განსხვავებაც. ქართული ოპოზიცია სარგებლობს იმ რეფორმების სიკეთეებით, რომელსაც რუსული ოპოზიცია ბოლო რვა წლის განმავლობაში ვერ ეღირსა. რუსულ ოპოზიციას არა აქვს ტელემაუწყებლობა, მას არ აქვს საჯარო პოლიტიკის წარმოების საშუალება. ქართული ოპოზიცია უმეტეს წილად მარგინალურია და სარგებლობს ქუჩური რიტორიკით, უბრალო ხალხისთვის გასაგები სიტყვებით, მაგრამ არა პოლიტიკაში მიღებული ტექსტებით. ქართველი ოპოზიციონერების გროვაში არის რამდენიმე პროფესიონალი, მაგრამ ისინი თითქმის არ ჩანან.

საქართველოს სჭირდება აქტიური პროფესიული პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც იმსჯელებდა და მიიღებდა ცხოვრების ყველა სფეროს პროგრამებს — პოლიტიკის, ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარების. მაგრამ, სამწუხაროდ, ოპოზიცია იყენებს მხოლოდ ერთ თავის უფლებას, გადადგომის მოთხოვნის უფლებას, მაგრამ არაფერს სამაგიეროდ არ გთავაზობთ. მე არ ვიცი არც ერთი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატები ხალხს თავის პროგრამებს არ სთავაზობენ. ასევე დიდად მოხიბლული არ ვარ ხელისუფლებით, ხანდახან მეჩვენება, რომ შეცდომები საკადრო პოლიტიკაში აქვთ, მაგრამ ზოგადად ქვეყანა რეფორმების მერე ცოტა გამოცოცხლდა. ხოლო მათ, ვინც მის წინააღმდეგაა მომართული, ვურჩევდი დაძაბოს გონება და გაიხსენოს, თუ რას წარმოადგენდა საქართველო 5 წლის წინათ.

**— როგორ შეაფასებდით ქართული მედიის თავისუფლებას?**

— მე მიჭირს შეფასების გაკეთება, რადგანაც, დიდად სამწუხაროდ, ქართულ ენას არ ვფლობ. არ ვიცი, 50 წლის ასაკში შევძლებ თუ არა მის შესწავლას. შემიძლია ვთქვა, რომ თუ ტელევიზია ასე თუ ისე ღირსეულად გამოიყურება, სამაგიეროდ გაზეთები, ჩემი აზრით, ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. ჩვენ ვთარგმნით რამდენიმე პუბლიკაციას, მე ასევე ვიღებ ქართული პრესის მიმოხილვას რუსულ ენაზე. ძალიან მიჭირს გავიგო, თუ რატომ იყენებს გაზეთების ნაწილი ჭორებს იმისთვის, რომ გაზეთის ფურცლები შეავსოს. ბევრი გაზეთის დიზაინი კი საერთოდ ვერ უძლებს კრიტიკას: ისეთი განცდა მაქვს, რომ გაზეთის მაკეტები შორეულ 60-იან წლებშია დამზადებული. როგორც ჩანს, მხოლოდ „24 საათი" გამოირჩევა უკეთესი გემოვნებით. ჩემი მეგობრების — მედიაანალიტიკოსების მონაყოლიდან ვხვდები, რომ ქართულმა მედიამ ბევრი რამ უნდა ისწავლოს. მე ამ სიტუაციას ასე ვხსნი: სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ჟურნალისტიკის დონე სხვადასხვაა. ამიტომაც მათ ერთმანეთის არ ესმით. განსაკუთრებით, როცა სიტყვის თავისუფლებად პოლიტიკური ოპონენტების შეურაცხყოფა ითვლება. მაგალითად, „მაესტროზე" უცნობის ტელეპროექტი. თუ მომღერალს უნდა რომ საზოგადოებას პოლიტიკაში გარკვევა ასწავლოს, ეს უნდა მოხდეს არა საკანში, არამედ აუდიტორიაში. მით უმეტეს, როცა საკანი არც ისე ცუდად მოწყობილ ოთახად გამოიყურება, მაგიდაზე კი ბროლის საფერფლე დგას. ამიტომაც უცნობი სასაცილოდ გამოიყურება.

ქართულ მასმედიას აქვს ყველა მოტივი იმისა, რომ უკეთესი იყოს. ამის საფუძველი კი შემდეგია: პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არაა აკრედიტაციის ინსტიტუტი; სადაც კონსტიტუციით სახელმწიფო მედია აკრძალულია, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მუხლი, რომელიც ჟურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის დევნის. რუსეთში კი ასეთი ხუთი მუხლია. საერთაშორისო იურისტების აზრით, საქართველოში ყველაზე ლიბერალური კანონია. ჟურნალისტებს შეუძლიათ და ვალდებულნი არიან ეს უპირატესობა გამოიყენონ. მაგრამ მათ არ უნდათ ან არ შეუძლიათ. ეს უნდა ისწავლო, და რაც შეიძლება სწრაფად. მე ვიტყოდი, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოში ყველაზე თავისუფალი მედიაა, მაგრამ ჟურნალისტები ამას ვერ ამჩნევენ, ან მათ არ უნდათ ამის შემჩნევა, რადგანაც ასე ცხოვრება უფრო ადვილია.

**— ამერიკის მასმედიის ძალიან ბევრი ძველი და ახალი საშუალება გაკოტრდა... პოსტსაბჭოურსაც იგივე ემუქრება?**

— ძალიან რთულია ამაზე საუბარი, რადგანაც კრიზისმა კრიტიკულ ზღვარს ჯერ კიდევ ვერ გადააბიჯა. მაგრამ, სულაც შესაძლებელია, რომ სწორედ ამ კრიზისმა დაარეგულიროს მედიის ბაზარი, რომლის შედეგადაც მხოლოდ ძლიერები დარჩებიან. მე ამის იმედი მაქვს.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ" საკ. კორ. აშშ-ში,**
**ნიუ-იორკი-მოსკოვი**

## განცხადება

1. შპს „რთველი XXI" აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ქონების (აქტივებისძ და სს „აკურას" აქციების 432 123 ცალი აქციის კაპიტალის 89. 394 პროცენტის რეალიზების მიზნით.

2. აუქციონი ჩატარდება 2009 წ. 21 აპრილს, 17 საათზე, მის. ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. № 12, IV სართული. ტელ: 891-15-57-09.

3. „ბე" 30 000 დოლარის ეკვივალენტი ლარებში, მონაწილის ბილეთი 50 ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს აუქციონში განაცხადის წარდგენამდე.

4. აუქციონის ბიჯი — 20 000 აშშ დოლარი. ანგარიშის ნომერი თიბისი ბანკი 66936160100001. მიმღები „რთველი XXI".

5. კომისიისადმი წარსადგენი დოკუმენტაცია:

აძ დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.

ბძ „ბე"-ს და მონაწილეობის ბილეთის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.

გძ პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი.

დძ ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

ეძ იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტაციის ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ბოლო მდგომარეობით, პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმიძ.

**შენიშვნა: განცხადების წარდგენა შესაძლებელია ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.**

საუქციონო კომისია

ინფორმაცია

## გურჯაანში ხორცის რეალიზაცია შემცირდა

**ხორცის რეალიზაციის მკვეთრი შემცირების გამო, გურჯაანში ხორცის სარეალიზაციო რამდენიმე პუნქტი დაიხურა.**



**როგორც მცირე მეწარმეებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, ხორცის რეალიზაციამ მნიშვნელოვნად ბოლო ორი თვის განმავლობაში იკლო. მეწარმეების თქმით, მაისში, როდესაც გლეხები პირველ მოსავალს იღებენ, ხორცის რეალიზაციის პროცესი შესაძლოა, შედარებით გამოსწორდეს, თუმცა მეწარმეებს ეს მოგებაზე მუშაობის საშუალებას მაინც ვერ მისცემს.**

ჯი-ეიჩ-ენი

თანადგომა

# „მესხეთი-2001“ მესხებს ეფერება

**რამდენიმე დღის წინათ ასოციაცია „მესხეთი-2001“-ის წარმომადგენლობა მესხეთს ეწვია. ეს იყო პირველი გამსვლელი სხდომა ქ. ახალციხეში. დედაქალაქში მცხოვრები მესხებისთვის მშობლიურ მხარეში ჩასვლა მუდამ დიდი სიხარულია.**

ასოციაციის პრეზიდენტი, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი იმ დღეს აქ სტუმარი გახლდათ, თუმცა მესხთა ცნობიერებაში იგი მაინც რჩება როგორც დიდი მოამაგე, დაუცხრომელი, სიკეთის მთესველი კაცი, რომელიც იმ რეჟიმის პირობებშიც ახერხებდა კაცური საქმე ეკეთებინა, ქართული სიტყვა ტრადიციები, ადათწესები დაეცვა. ამიტომ, არც გამკვირვებია, რომ ბატონ ამირანს დიდი სიყვარულით ხვდებოდნენ ყველგან...

პირველი შეხვედრა ამ რეგიონის მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერაში, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაია კაპანაძე. ასოციაციის გამგეობის ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი პავლე ნარიმანიშვილი, ამირან მექვაბიშვილთან ერთად, საგულისხმო წინადადებას სთავაზობს აკადემიას, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის საკადრო პოლიტიკის მიზნობრივ პროგრამებს და ამ საქმეში ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია მესხეთისთვის.

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ლია დემეტრაძემ თავისი პრაქტიკული გამოცდილება გაუზიარა მასპინძლებს.

საზოგადოება „მესხეთი-2001“-ის გამგეობის წევრები შეხვდნენ რეგიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ქ. ახალციხეში, ასოციაციის ინიციატივით, ორ ქუჩას უახლოეს პერიოდში დაერქმევა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის, აწგარდაცვლილი გიორგი ყანჩაველის და სამედიცინო სფეროს წარჩინებული მუშაკის, აწგარდაცვლილი ლევან აბაშიძის სახელები.



რექტორთან პროფესორ თინა გელაშვილთან შედგა, რადგან ასოციაციამ თავისი საქმიანობის პრიორიტეტად ამ ორი დაწესებულების ახალგაზრდობის გაცნობა-დაახლოება განიზრახა მიზნად. გამოცდილების გაზიარება, სტუდენტური თვითმმართველობის სფერო, მეცნიერული კვლევა-ძიების სიახლეები, კულტურული და მასობრივი მუშაობის ფორმების სრულყოფა ახალგაზრდობის სულიერი წრთობის საქმეში, — აი არასრული ჩამონათვალი საკითხებისა, რომელიც ახლებური თვალთახედვის არეში აქვს ასოციაციის პრეზიდენტს.

საინტერესო აღმოჩნდა ამ მხარეში კიდევ ერთი საგანმანათლებლო უბანი, რომელიც ახლა იხსნება ჰუმანიტარული აკადემიის სახელწოდებით. მისი რექტორია პროფესორი დაიგეგმა ლექცია-საუბრების ციკლი ფსიქოლოგიაში, რომელსაც უხელმძღვანელებს პროფესორი გივი მერაბიშვილი. გააქტიურდება კულტურული ცხოვრებაც: მესხეთის სახელმწიფო თეატრი ეწვევა დედაქალაქს, დედაქალაქის ხელოვნების წარმომადგენლები — მესხეთს. პირველი სასურველი სტუმარი ახალციხეში იქნება ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი რუსუდან მექვაბიშვილი.

მალე მომზადდება აგრეთვე ახალი პროექტები რეგიონში ეკოლოგიური პრობლემების მოწესრიგების და ისტორიული ძეგლების დაცვა-განახლების მიზნით.

**ლია ხმალაძე,**
ასოციაცია „მესხეთი–2001“-ის გამგეობის წევრი.

**სურათზე: ასოციაციის გამსვლელი სხდომა მესხეთში.**

ხელოვნება

**გიორგი ჩლაიძე ცნობილი ქართველი კომპოზიტორია. იგი მრავალ ჟანრში მოღვაწეობს და მის შემოქმედებას ბევრი გულშემატკივარიც ჰყავს როგორც მუსიკალურ, თეატრალურ და კინოხელოვანთა წრეებში, ასევე რიგით მუსიკის მოყვარულთა შორის.**

გიორგი ჩლაიძის საავტორო კონცერტის პროგრამა ბოლო წლებში შექმნილი ახალი ნაწარმოებებისაგან შედგებოდა, რაც დარბაზში სასიამოვნო მოლოდინის განცდას ბადებდა. კონცერტი ჟანრული მრავალფეროვნებითაც იყო გამორჩეული.

საღამო ვოკალური ციკლით გაიხსნა. ვოკალური ციკლი „სიყვარულო ნიჭო სრულო...“ ტენორისათვის ინსტრუმენტული ანსამბლის თანხლებით, სპეციფიკურ დრამატურგიულ ჩანაფიქრს ეყრდნობა, რასაც კარგად ხსნის მისი ქვესათაური — „ასოციაციები“. მართლაც, შვიდი სიმღერისაგან შემდგარი ამ ნაწარმოების თითოეული ნომერი ეყრდნობა ამა თუ იმ ცნობილ ჰანგს და მის განვითარებას, რომელიც „გვიამბობს“, თუ რა ასოციაციებს იწვევს იგი კომპოზიტორის სულსა და გონებაში.

# პრემიერების კონცერტი

**კომპოზიტორ გიორგი ჩლაიძის საიუბილეო საავტორო საღამო კონსერვატორიის მცირე დარბაზში**



განწყობის მყისიერი ცვლილებები, ჟანრული პირველწყაროს პლასტიკური გარდასახვები აფართოებენ ამ ციკლის მხატვრულ შინაარსს, გაჰყავთ იგი სატრფიალო გრძნობების ფარგლებს გარეთ.

კომპოზიტორის ჩანაფიქრი მაღალი პროფესიული ოსტატობით გადმოსცა შემსრულებელთა ჩინებულმა ანსამბლმა: თამაზ საგინაძე — ტენორი, ნუგზარ კიკნაძე — ფლეიტა, გიორგი ჯორჯაძე — ჩელო, გიორგი შავერზაშვილი — ფორტეპიანო.

კონცერტის პროგრამაში ცენტრალური ადგილი დაიკავა გოგი ჩლაიძის „სალაღობომ“. დიდი მხატვრული გაქანებითა და საგუნდო წერის ხერხების ვირტუოზული ფლობით შესრულებულმა ამ ფართო პლანის ტილომ მსმენელთა მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა. ნაწარმოები გვხიბლავს შინაარსის სიღრმით, სადაც ხალხური ზეიმის ლაღ, ომახიან, მხიარულ განწყობილებას ერთვის ფაქიზი ლირიკული წიაღსვლები, ამაღლებული რელიგიური განწყობილებები. ეროვნული რიტმები და ჰანგები აქ ორგანულადაა შერწყმულ-შეზავებული თანამედროვე გამომსახველ რესურსებთან, ახალ ტექნოლოგიებთან, პოლირიტმულ და სონორულ ჟღერადობებთან. აკუსტიკური ხერხებისა და „კადრული პრინციპების“ გამოყენების გზით, იქმნება წარმოსახვითი ეფექტები, რომელთა მეშვეობითაც, თითქოს ჩვენს წინაშე გაივლიან სისხლსავსე ფერადოვანი ჟანრული სურათის ცალკეული კადრები. თხზულება გამოირჩევა მხატვრული ცხოველმყოფელობით, ავტორისათვის დამახასიათებელი ფაქიზი გემოვნებითა და არისტოკრატული თავდაჭერილობით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „სალაღობოს“ შემსრულებელი კოლექტივი — აფხაზეთის კამერული გუნდი და მისი ხელმძღვანელი ბატონი გურამ ყურაშვილი. ეს კოლექტივი მხოლოდ წელიწადნახევარია არსებობს. დაარსებიდან სულ რაღაც რვა თვეში, ქორმაისტერისა და მომღერლების თავდაუზოგავი შრომის შედეგად, გუნდმა გამოიმუშავა ოთხი განსხვავებული ტიპის ბგერა, რომლის წყალობითაც ხელეწიფება სხვადასხვა ეპოქის მუსიკის (ძველიდან - უახლესამდე) ნიმუშების მაღალპროფესიული შესრულება. გასულ ზაფხულს, მან მონაწილეობა მიიღო უნგრეთის ქ. დებრეცენში დაფუძნებულ (1961 წ) ბ. ბარტოკის სახელობის საგუნდო კონკურსში და მიაღწია ფინალს. რაგინდ საოცარიც არ უნდა იყოს, ამ ახალგაზრდა კოლექტივმა მეოთხე ადგილი დაიკავა კონკურსის მონაწილე 40-ზე მეტ, „ხანგრძლივსტაჟიან“ გუნდებს შორის! ვფიქრობთ, ეს ბევრზე მეტყველებს, მით უფრო, რომ კოლექტივი აფხაზეთიდან ლტოლვილი სტუდენტი ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. გიორგი ჩლაიძის „სალაღობოს“ შესრულება კონცერტზე იყო კოლექტივის დებიუტი, პირველი გამოსვლა ქართველი მსმენელის წინაშე. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. ცხადი გახდა, რომ საქართველოში კიდევ ერთი ძლიერი და საინტერესო მხატვრული კოლექტივი ჩამოყალიბდა, კოლექტივი, აღმოცენებული საქართველოდან ჩამოგლეჯილი ძირძველი მიწის ნიადაგზე!

კონცერტის „ბოლო სიტყვა“ იყო გიორგი ჩლაიძის კამერულ-ინსტრუმენტული თხზულება — „ფიქრნი“, მედიტაციები ვიოლინოს, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის. ეს ნაწარმოები გამოირჩევა ფილოსოფიური შინაარსით, მარადიული მნიშვნელობის თემათა წინ წამოწევით, გადმოცემის განსჯითი, ჩაფიქრებული ტონით, რომელსაც ახლავს ხოლმე ემოციური ფეთქებები. ნაწარმოების ინტონაციური მასალა ეყრდნობა რამდენიმე ბგერით პლასტს, განაწილებულს ცალკეულ ინსტრუმენტებს შორის, რომელთა ურთიერთქმედება განსაზღვრავს ნაწარმოების დრამატურგიულ განვითარებას. მძაფრი ტკივილების, იმედგაცრუების, გროტესკული გარდასახვების გავლით, კომპოზიტორი მიდის „განწმენდილი“ ჟღერადობის ფინალთან. „მშვიდი სევდით“ აღსავსე კოდა, სადაც აქა-იქ ისმის გადატანილი მძაფრი „ქარტეხილების“ გამოძახილები, ამკვიდრებს მაღალეთიკური მნიშვნელობის იდეალებს.

ნაწარმოები, რომელშიაც კომპოზიტორის შემოქმედებისათვის ახალმა შტრიხებმა იჩინეს თავი, მსმენელმა მოწონებით მიიღო. მის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა ვიოლონჩელისტმა ოთარ ჩუბინიშვილმა და მისივე აღზრდილმა ახალგაზრდა კოლეგებმა — მევიოლინე მანანა ქანთარიამ და პიანისტმა თათა ლიჩელმა, რომლებიც ქართული მუსიკის პროპაგანდისტთა შორის წარმატებით იმკვიდრებენ ადგილს.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა და მსმენელს ჭეშმარიტი სიხარული მიანიჭა, რასაც გულწრფელად ვულოცავთ კომპოზიტორს.

**ლალი კაკულია**

ამაგდარი

# თავისი კალო მართლაც გალეწა...

> **შენ ანგარიში ჩააბარე ხალხს,**
> **და არა ყოველ გამვლელ-გამომვლელს**
> **გალაკტიონი**

**იდგა სცენაზე ხანგამოვლილი, დროული კაცი — გორელების კერპი და ფალავანი, ვინც ნახევარი საუკუნის მანძილზე სცენიდან ესაუბრებოდა, მოძღვრავდა, ამხნევებდა მაყურებელს, — ახლა იდგა კვლავ სცენაზე და აღელვებული მადლობას იხდიდა სიყვარულისთვის, ერთგულებისთვის, ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობის ანგარიშს აბარებდა თავის ხალხს.**

ოთარ ქუთათელაძე, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ალ. პოპოვისა და კოტე მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, გორის სახელმწიფო თეატრში სულ ახალგაზრდა მივიდა და წინა საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული ერთგულად ეწეოდა მსახიობის მძიმე ჭაპანს. იგი ახლახან წამოვიდა თეატრიდან. როგორც ეს ხშირად ხდება, ამ წამოსვლაში მას თეატრის ხელმძღვანელობაც „დაეხმარა“. ქართული თეატრის ისტორიამ ერთი და ორი როდი იცის ასეთი „თანადგომის“ ფაქტები.

ოთარ ქუთათელაძემ თეატრში, ერთ ქართულ ხალხურ ლექსს რომ დავესესხოთ, „თავისი კალო გალეწა“ და გალეწა იგი ვაჟკაცურად, ხვავრიელად და როგორც მიღებულია თქმა — უკომპრომისოდ, — ბილწთ არ შეკვრია ზავითა. გორის თეატრის ისტორია, მისი ბოლო, ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი წარმოუდგენელია ოთარ ქუთათელაძის ელვარე ნიჭის, ხავერდოვანი ტემბრის ხმის გარეშე.

ვინ მოთვლის, რამდენი როლი აქვს განსახიერებული თბილისის მოზარდ მაყურებელთა, სანკულტურის, მარჯანიშვილის, რუსთაველისა და გორის სახელმწიფო თეატრების სცენაზე. თავისი ხანგრძლივი აქტიორული მოღვაწეობის მანძილზე ოთარ ქუთათელაძემ ორასამდე სხვადასხვა, განსხვავებული ხასიათისა და ბუნების გმირის ცხოვრებით იცხოვრა.

ზეიმობდა თეატრალური გორი. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ თბილისელი, ხაშურელი, გორელი სტუმრები, კოლეგები და მეგობრები, ოთარ ქუთათელაძის აქტიორული ტალანტის თაყვანისმცემლები.

საღამო დასრულდა მწერლისა და ჟურნალისტის ოლია ბრაგვაძის (ჩვენი დარჩეს და — იუბილარის მეუღლის!) წიგნის წარდგენით — „თეატრში ქუხდა ქუთათელაძე“. წიგნი მსახიობის საიუბილეო დღეებში გამოიცა.

**გურამ ვაშაკიძე**

◎ რაგბი

# ახალგაზრდულ ელიტაში

**ხვალ საფრანგეთის ქალაქ ტულონში იწყება 18-წლამდე ასაკის მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატის უმაღლესი დივიზიონის ბატალიები, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. „ბორჯღალოსნები“ პირველ ეტაპზე – მეოთხედფინალში ინგლისელებს ხვდებიან, წარმატების შემთხვევაში კი რუსეთ-ირლანდიის მატჩში გამარჯვებულთან მოუწევთ ბრძოლა.**

აღნიშნული ტურნირი FIRA-AER-ის ეგიდით წლეულს მეცხრედ ეწყობა და ჩვენი თანამემამულენი მასში, 2004 წლიდან მასში ყველა ადგილი გათამაშდება და პლეი-ოფში დამარცხებულებიც კი რაც შეიძლება მაღალი პოზიციის დასაკავებლად გაირჯებიან, რათა სამერმისოდ მაქსიმალურად მაღალი რეიტინგი ჰქონდეთ, ეს კი 2010 წელს პირველ ეტაპზე შედარებით სუსტ მეტოქესთან დაწყვილებას ნიშნავს.

აქვე გაუწყებთ, რომ უმცროსი ბორჯღალოსნები ტულონში 23 მარტს ჩავიდნენ და წინასატურნირო მზადების პროგრამით ფრანგ თანატოლებთან ამხანაგური შეხვედრის წაგებაც მოასწრეს – 8:17.





მოყოლებული, ზედიზედ მეექვსედ ცდიან ძალებს.

კონტინენტის ფორუმის მონაწილენი ოთხ ჯგუფად არიან დაყოფილნი და ზემოთ დასახელებულთა გარდა პაატა ნარიმანაშვილისა და დავით ჩავლეიშვილის შეგირდთა მომავალი მეტოქეები შესაძლებელია გახდნენ საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთისა და ბელგიის გუნდები.

დამდეგი ასპარეზობის თავისებურება ის გახლავთ, რომ

**გაეცანით „ევრო – 2009“-ის კალენდარსა და საქართველოს ნაკრების შემადგენლობას.**

**5 აპრილი**

**მეოთხედფინალები**

**1. საფრანგეთი – ბელგია.**

**2. ირლანდია – რუსეთი.**

**3. ინგლისი – საქართველო.**

**4. იტალია – რუმინეთი.**

8 აპრილი

**ნახევარფინალები**

**5. პირველის მოგებული – მეოთხის მოგებული.**

**6. მეორის მოგებული – მესამის მოგებული.**

**7. პირველის წაგებული – მეოთხის წაგებული.**

**8. მეორის წაგებული – მესამის წაგებული.**

11 აპრილი

**მეშვიდე ადგილისთვის**

**მეშვიდეს წაგებული – მერვეს წაგებული.**

**მეხუთე ადგილისთვის**

**მეშვიდეს მოგებული – მერვეს მოგებული.**

**მესამე ადგილისთვის**

**მეხუთეს წაგებული – მეექვსეს წაგებული.**

**ფინალი**

**მეხუთეს მოგებული – მეექვსეს მოგებული.**

*საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები*

**პირველი ხაზი:** შალვა ჯაჯაია, ლევან შენგელია, გიორგი ვეფხვაძე, ლევან ჩილაჩავა, ზურაბ ქვანია, მერაბ მატკავა.

**მეორე ხაზი:** გიორგი ქლენტი, კონსტანტინე მიქაუტაძე, რევაზ ქლენტი.

**მესამე ხაზი:** ბექა ბიწაძე, გიორგი ტყეშელიაძე, გიორგი ჭყოიძე, ლევან თხელიძე, ხვიჩა ბუჯიაშვილი.

**9-10 ნომრები:** ჯიმი ღამბაშიძე, გიორგი მისრიაშვილი, ლუკა კვარაცხელია, ზვიად ოდიშარია.

**უკანა ხაზი:** დავით ლოსაბერიძე, აკა ხიპაშვილი, გიორგი მარგიანი, ვანო გაბრაშვილი, გიორგი ონიანი, ლევან გოგოლაშვილი, უჩა მჭედლიშვილი, ბახვა კობახიძე.

**მენეჯერი:** დიმიტრი ოზოლაძე.

◎ ოკეანის გაღმა

# 22 წლის ფალავნის წარმატებები

**თამაზ გელაძე მესამე თვეა ამერიკაში, ოჰაიოს შტატის, ქალაქ კოლუმბუსშია და იქაური მწვრთნელების დახმარებით ვარჯიშობს. ის საქართველოს ნაკრების წევრია თავისუფალ ჭიდაობაში, ახლა 84 წონით კატეგორიაში ჭიდაობს და მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის ემზადება. პარალელურად ახალგაზრდებს თავადაც წვრთნის.**

„აქ ყველანაირ ხელშეწყობას და უფრო დიდ ასპარეზზე გასვლას მპირდებიან“, – განაცხადა გელაძემ, რომელმაც გვითხრა, რომ ამ ეტაპზე მის გეგმაში კოლეჯში სწავლის გაგრძელებაა, რაც მომავალ სპორტულ კარიერაში გადამწყვეტი უნდა გახდეს.



დღეს თამაზ გელაძე 22 წლის არის. სანამ ძალებს ამერიკაში მოსინჯავდა, საქართველოში, ყაზბეგში ვარჯიშობდა. მისი პირველი მწვრთნელი ლევან მარსაგიშვილი იყო. შემდეგ, 1996 წლიდან, წვრთნა თბილისში, სპორტის აკადემიის ოლიმპიური რეზერვების მომზადების ცენტრში მწვრთნელ ჯონი ლორიასთან განაგრძო.

„თამაზ გელაძემ ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, საერთაშორისო ტურნირებშიც ბევრჯერ გაიმარჯვა, სამჯერ კი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა“ – ეს არის ამონაწერი მისი დახასიათებიდან. იქვეა აღნიშნული რომ 2002-დან 2008 წლამდე ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებს ავარჯიშებდა.

„სწორედ 2002-2008 წლებში ევროპისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს ვლადიმერ ხინჩაგაშვილს, ბექა ჭელიძეს და მამუკა კორძაიას ვეხმარებოდი დაოსტატებაში“ – აღნიშნა გელაძემ.

„თამაზ გელაძე ნიჭიერი ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენი და ღირსეული მწვრთნელია. ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისა და საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მომზადების ეროვნული ცენტრის დირექციისაგან მადლობა არაერთხელ დაიმსახურა“ – აცხადებს საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მომზადების ეროვნული ცენტრის დირექტორი კახა ჭუმბურიძე.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

◎ ფაქტი

# კაპიტანი რას მიქვიან

**უელსისა და გერმანიის ნაკრებთა ამასწინანდელი შესარჩევი მატჩის 73-ე წუთზე, როცა სტუმრები წინ იყვნენ – 2:0, მათმა 23 წლის თავდამსხმელმა ლუკას პოდოლსკიმ ბუნდესგუნდის 32 წლის კაპიტანს მიხაელ ბალაკს, არც მეტი, არც ნაკლები, სახეში სილა გააწნა.**

ალბათ, ინციდენტს გაგრძელება მოჰყვებოდა, რომ არა იქვე მდგარი მერტეზაკერი და ლამი, რომლებიც უმალ პარტნიორთა შორის აღმოჩნდნენ და გააშველეს.



როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, მხარეებმა სკანდალური ფაქტის გამომწვევ მიზეზებს განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეს.

**მიხაელ ბალაკი:** მე პოდლის გარკვეულ ტაქტიკურ საკითხებთან დაკავშირებით რჩევა მივეცი, რაც იუკადრისა. ანალოგიურ ვითარებაში მტყუან-მართალი შეხვედრის შემდეგ ირჩევა და არა მუშტი-კრივით მოედანზე.

**ლუკას პოდოლსკი:** ყველაფერი პირველ ტაიმში დაიწყო, როცა მიხაელმა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფს ბურთი არ მომაწოდა, შესვენების შემდეგ კი სიტყვა სიტყვას წაება და... რა ვქნა, მე ერთი იმათთაგანი ვარ, ემოციათა დაფარვა რომ უჭირთ. ჩვენ გასახდელში არ გვილაპარაკია, ყველაფერი სასტუმროში გავარკვიეთ.

საბოლოოდ მთავარ მწვრთნელ იოაჰიმ ლიოვისა და მენეჯერ ოლივერ ბირჰოფის ჩარევით კონფლიქტს წერტილი დაესვა და შერიგების ნიშნად „ბუნტოვშჩიკებმა“ ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს, თუმცა, საკითხავია, თუ გულში წყენა ჩაიდეს, როდის მოჰყვება გაგრძელება კარდიფის „მილენიუმის“ სტადიონზე დაწყებულ ისტორიას.

◎ კალათბურთი

# „სირტაკი“ ევროპაში




**ევროლიგის პლეი-ოფების მეოთხე რაუნდი უკანასკნელი აღმოჩნდა ორი წყვილისათვის და ორივეში ბერძნებმა იმარჯვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბერლინში მაისის დასაწყისში გასამართი ერთ-ერთი ნახევარფინალი ელადური იქნება და ერთმანეთს იქაური კალათბურთის გრანდები „პანათინაიკოსი“ და „ოლიმპიაკოსი“ დაუპირისპირდებიან.**

აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტი ნაბიჯი გერმანიის დედაქალაქისკენ ორივემ სტუმრად გადადგა, რაც კიდევ უფრო წონადს ხდის მათ წარმატებას. კერძოდ, ჟელკო ობრადოვიჩის გუნდმა სიენაში „მონტეპასკი“ დაჯაბნა – 91:84 და სერიაში 3:1 გაიმარჯვა, პირეოსელებმა კი კიდევ უფრო მრისხანე მეტოქე – მადრიდის „რეალი“ იმსხვერპლეს – 78:75 და ბრძოლა მათაც 3:1 მოიგეს.

ასე რომ, გასარკვევი მხოლოდ „ოთხთა ფინალის“ მეოთხე მონაწილე დარჩა, რომელიც 8 აპრილს გამოვლინდება „ბარსელონასა“ და „ტაუგრესის“ მეხუთე მატჩის შემდეგ. ჯერჯერობით ესპანურ დუელში ანგარიში თანაბარია – 2:2.



კატალონიელებმა მდგომარეობა მას შემდეგ გამოასწორეს, რაც ბასკური კლუბი ვიტორიაში დაჩაგრეს – 84:63. ამ შეხვედრის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელშიც სტუმრებმა 17-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონასა“ და „ტაუგრესს“ შორის უძლიერესს ნახევარფინალში ცსკას-თან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

* * *

**ევროთასის წლევანდელ გათამაშებას ფიბამ სტატუსი აუმაღლა – მისი მფლობელი საგაისო ევროლიგის საგზურს მოიპოვებს.**

ამდენად, ადვილი ასახსნელია ის დაძაბულობა, რომლითაც იტალიის ქალაქ ტურინში დაწყებული დასკვნითი რაუნდის სასტარტო მატჩები გამოირჩეოდა. **გაუწყებთ მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგებს:**

„ჰემოფარმი“ – „დინამო“ (მოსკოვი) 93:85, „ლიეტუვოს რიტასი“ – „ბენეტონი“ 85:79.

# ტბა — სასწაული



XX საუკუნის 30-40-იან წლებში ყაზახეთში, სხვადასხვა მონაცემებით, ერთნახევრიდან ორ მილიონამდე კაცი გადაასახლეს, რომელთა შორის მრავალი ეროვნების ადამიანები იყვნენ. დეპორტირებულთაგან იქ პირველები პოლონელები ჩავიდნენ. 1936 წელს შინსახკომის სამეურვეოდ უკრაინის საზღვრისპირა რეგიონებიდან იქ 36 ათასი კაცი გადაასახლეს, მანამდე კი ყაზახეთში დაახლოებით ხუთი ათასამდე პოლონელი ცხოვრობდა. ახლად ჩასულთა ნაწილი ტაინიშინსკის რაიონში სოფელ ოზერნოეში, მიწურებში ცხოვრობდა. 1941 წლის მარტში კი სოფლის მახლობლად გამდნარი თოვლის წყლით ტბა წარმოიშვა, რომელშიც, კაცმა არ იცის როგორ, უამრავი თევზი გაჩნდა. ომის წლებში ხალხი შიმშილით სიკვდილს მხოლოდ ამ ტბის თევზის წყალობით გადაურჩა. ადგილობრივი მცხოვრებლები კი ყვებიან, რომ ამ ადგილებში ხშირად გამოცხადებულა ღვთისმშობელი, ხოლო როცა ავბედობამ ჩაიარა, ტბა ასევე სასწაულებრივად გაქრა...

1990 წლის მაისში სოფლის მცხოვრებლებმა საყდრის მშენებლობა წამოიწყეს, ხოლო იმ სასწაულის აღსანიშნავად ღვთისმშობლის თევზებიანი ქანდაკება აღმართეს, რომელიც თვით რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ აკურთხა.

# ისინი ღელავენ, ჩვენ რას ვშვრებით?




რამდენიმე ხნის წინათ ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ შეშფოთებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ობლიგაციებში დაბანდებული აქტივების ბედის გამო. ამ გამოსვლას გამოეხმაურა რუსეთის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ევგენი იასინი, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ რუსეთს ამერიკულ აქტივებში დაახლოებით 180 მილიარდი დოლარი აქვს განთავსებული, ხოლო ჩინეთს — ორი ტრილიონი (ანუ ორი ათასი მილიარდი) დოლარი. ამიტომაც არის, რომ ჩინელები სხვებზე მეტად ღელავენ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვინც თანხები ამერიკის ფასიან ქაღალდებში დააბანდა, ყველა ერთიანად უნდა ღელავდეს.

ამჟამად ამერიკელები თავის ეკონომიკას დიდძალ ფულად თანხებს აწვდიან, მათ შორის ფულის საბეჭდი დაზგების მეშვეობითაც. ამდენად, არსებობს ინფლაციის დონის აწევის მეტად რეალური საშიშროება, რის შედეგად თავდაპირველ ფასს უკლებლივ ყველა აქტივი დაკარგავს.

# ოლიმპიელებო, ფულები ჩამოყარეთ!




სოჭში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩასატარებლად მზადების პროცესში ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემებისადმი მიძღვნილ სხდომაზე, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ბიზნესის კერძო სექტორის წარმომადგენლებს ასაშენებელი ოლიმპიური ობიექტების დაფინანსება ანდა მათზე სახელმწიფოს სასარგებლოდ უარის თქმა მოსთხოვა. არადა, ამავე დროს, როგორც ჩანს, სახელმწიფოს იმის შესაძლებლობა არა აქვს, რომ სპორტული კლუბები თავად შეინახოს. მაგალითად, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ყველა სპორტსმენს უბრძანა იმ ნაწილებში დაბრუნება, სადაც მსახურობენ.

# ლუნა-პარკის რეკორდსმენი

20 წლის ამერიკელმა რიჩარდ როდრიგესმა სახელი... გასართობების, ანუ ლუნა-პარკში მოიხვეჭა. თავდაპირველად დიდების მოსახვეჭად იგი მთამსვლე-



ლობას მისდევდა და მიუვალი მწვერვალების დაპყრობას ცდილობდა, მაგრამ ალპინიზმში, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, რეკორდების მიღწევა ადვილი საქმე როდია.



ამიტომ მან გამოსავალი გამონახა და რეკორდი „ამერიკული მთების“ ატრაქციონზე დაამყარა: შვიდი დღე-ღამისა და ხუთი საათის განმავლობაში იგი გადმოუსვლელად იჯდა მატარებლის კაბინაში, რომელიც ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ გაჩერებულა და ჩაკეტილ მრუდ წრეზე ტრიალებდა. მთელი ამ ხნის მანძილზე რიჩარდ როდრიგესი ან გაზეთებს კითხულობდა მშვიდად, ან ეძინა.

# იქნებ ჩვენც მიგვებაძა...



წლეულს მთელ მსოფლიოში აღინიშნება სოფლის მეურნეობისკენ ლტოლვის ტენდენცია — მძვინვარე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხალხს საკუთარი ბოსტნების იმედი უფრო აქვთ, ვიდრე სხვა სახეობის შემოსავლის. სხვათა შორის, ამერიკის შეერთებული შტატების პირველმა ქალბატონმა მიშელ ობამამ თეთრი სახლის კორდზე მწვანილისა და ბოსტნეულის კვლები გაჭრა პრეზიდენტის სამზარეულოს მოსამარაგებლად. ჩვენც ხომ არ მიგვებაძა მისის ობამასთვის, განა მასზე უკეთეს დღეში ვართ?

# ბედუკუღმართობის „ტიტანიკი“

ეჭვი არ არის, რომ 1953-სა და 1976 წლებს შორის, ანუ აშენებასა და ჩაძირვას შორის პერიოდში თბომავალ „არგო მერჩენტს“ ქვეყანაზე რაც კი უბედურება არსებობს, ყველა თავს გადახდა. კერძოდ:

1967 წელს იაპონიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე რვა თვის განმავლობაში მიდიოდა. გზაში იგი იაპონურ გემს შეეჯახა, სამჯერ ხანძარი გაუჩნდა და ხუთჯერ სარემონტოდ დადგა; 1968 წელს მისი ეკიპაჟი აჯანყდა, ხოლო 1969 წელს კუნძულ ბორნეოსთან იგი მეჩეჩზე დაჯდა. მომდევნო წლებში მას არაერთი რემონტი ჩაუტარეს იაპონიის ნავსადგურ კიურასაოში, ავარია მოუვიდა სიცილიის ნაპირებთან და ბუქ-



სირით ნიუ-იორკში ჩაიყვანეს; 1976 წლის განმავლობაში მას ექვსჯერ აუფეთქდა საორთქლე ქვაბი, ერთხელ კი გემბანის ორივე მხარე წითელი ფარნები გამოკიდა, რაც იმის ნიშანია, რომ ეკიპაჟს გემის მართვა არ შეუძლია და ხომალდის მანქანა მწყობრიდანაა გამოსული. ამ წლის „ღირსეულად“ დასამთავრებლად იგი კიდევ ერთხელ შეეჯახა მეჩეჩს და ოკეანის ზედაპირზე ნავთობის უზარმაზარი ლაქის დატოვების შემდეგ კუნძულ კეპ კოდის ტრავერსზე ჩაიძირა.

# სასახლე წყალზე

იყოს ხელმწიფე საკუთარ სახელმწიფოში — მრავალი ადამიანის ოცნებაა. თუკი შენი სამეფო კუნძულზეა, მაშინ კაცს შეგიძლია ისე მართო იგი, როგორც მოგესურვება, სხვების დაუკითხავად.

ნორვეგიის პროვინცია ტელემარკის ღრმა მთის ტბა ტინსიოს შუაგულში ამ პატარა კუნძულის ერთპიროვნულ მმართველს, მართალია, მოუწევს ცივილიზაციის ზოგიერთ მიღწევაზე უარის თქმა, სამაგიეროდ ბუნებით ტკბობა იმდენი შეუძლია, რამდენიც მოესურვება — ზაფხულობით ბანაობა, მერე კი საათობით მშვიდად თევზაობა, როცა ანკესზე მარტო უგემრიელესი კალმახი მოდის.



# ნისკარტების დასტაქარი

ოჰაიოს შტატის ქალაქ ბლუ-ეშის მკვიდრმა ვეტერინარმა პიტერ ჰილმა ხელი მიჰყო ცხოველთა და ფრინველთა მკურნალისთვის ერთობ უჩვეულო საქმეს. იგი წარმატებით ამზადებს... ხელოვნურ ნისკარტებს ეგზოტიკური ფრინველებისთვის. მისტერ ეშს საკმაოდ მართებულად მიაჩნია, რომ ნისკარტი — ესაა ფრინველთათვის ბუნებით მინიჭებული მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, რომლის გარეშე ფრთოსანთა უმეტესობა უბრალოდ ვერ იარსებებდა. ვეტერინარის მიერ დამზადებული ნისკარტები ფრინველებს საკვების მიღებაში, თხილისა და თესლის გატეხვაში ეხმარება, ხოლო გასაჭირის დროს თავდაცვის იარაღადაც გამოიყენება.



# ოლონდ გადახტომა არ უნდა სცადოთ...

უკაცრავად, მაგრამ, სტუმარი უნიტაზზე რომ დაჯდება, უცბად აღმოაჩენს, რომ ფეხქვეშ... თხილამურები უდევს, მის წინ კი — სათხილამურო ტრამპლინია და გრძელი გადმოსახტომის ბოლოში დათოვლილი მთების თვალწარმტაცი პანორამა იშლება. აი, ასე აფორმებენ ტუალეტებს იაპონიის სამთოსათხილამურო კურორტებზე.



უცხოური პრესის მიხედვით
მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

◉ თვალსა და ხელს შუა

# ფოკუსი თბილისში – მოციქულების გაქრობა

**საქართველოს დედაქალაქის შუაგულში, თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა, ხალხმრავალ გადასასვლელში, ახლად შეფეთქილ კედლებზე ქართულ-ინგლისურ სინქრონულ წარწერებში ისეთი რამ ამოვიკითხე, პირველად შემეპარა ეჭვი ჩემს სიცოცხლეში „ქართლის ცხოვრების“ მატიანის სისწორეში.**

ჯერ ქართულად წერია: „საქართველოს გაქრისტიანება პირველ საუკუნეში დაიწყო ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მიერ, ხოლო სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა 337 წელს და იგი დაკავშირებულია ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს სახელთან“. ახლა ვიხილოთ მისი ინგლისური „თარგმანი“: „მეოთხე საუკუნიდან საქართველო მტკიცედ ყალიბდება ქრისტიანულ საფუძველზე, რომელმაც გაუძლო დროის გამოცდას და მრავალრიცხოვან თავდასხმას. საქართველოს რელიგიის მოქნილობის მოწმეა მრავალი ეკლესია, ციხე-სიმაგრე მის მთა-გორიან ლანდშაფტზე. საქართველოა მეორე ქვეყანა ახლადმოქცეული ქრისტიანობაზე 337 წელს ახ.წ. აღ-თ (Sine the 4 century Georgian culture has set itself firmly on a Christian rock, which has stood the test of time and numerous invasions. The resilense of Georgia religion is witnessed in its many hill-top churches and fortuesses lotting the landscape. Georgia is the second country to converet ta christianity in 337 AD).ძ“.

როგორია, ბატონებო? ჯერ ერთი, რად არ ახსენეს იუდას სიკვდილის შემდეგ მის ნაცვლად არჩეული მატათია მოციქული, რომელიც აფხაზეთში კომანშია დაკრძალული? რადაა მიჩქმალული ის ფაქტი, რომ 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაზე მონაწილეობდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე? დავუშვათ, ეს არ უწყოდნენ. კი, მაგრამ თავიანთივე ქართული ტექსტი მაინც ეთარგმნათ ზუსტად, თორემ, იცით, რა გამოდის? იცით, რას გაიგებენ ამით სტუმრები, შინაურ-გარეულნი, რომელთაც ინგლისური ეხელეწიფებათ? მხოლოდ იმას, რომ: 1ძ არავითარი ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი არ




ყოფილან პირველ საუკუნეში საქართველოში, არ უქადაგიათ ქრისტიანობა (ნეტავ, ახალი ათონიდან შეეძლოთ სვიმონ მოციქულის საფლავის გაქრობაძ. აი, ასე თვალსა და ხელს შუა, იქვე, კედელზევე გააქრეს სამსაუკუნოვანი, საამაყო ისტორია; 2ძ ჩვენი რელიგია თურმე „მოქნილია“, ხოლო ვიღაცის, ალბათ, უდრეკი და შეუვალია. ნეტავ ვისი? „პასუხები“ იქვეა. 3ძ საქართველო თურმე „მეორე“ ქვეყანა ყოფილა, ვინც ახლად მოექცა ქრისტიანობაზე. კი, მაგრამ მეორე სად: მსოფლიოში? აზიაში? ევროპაში? თუ კავკასიაში? რაო, რის თქმა სურს ამის დამწერს შეფარვით (ისიც დავუშვათ, რომ გიორგი ათონელის წარმატებული კამათიც არ უწყოდა ბერძნების პატრიარქთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მიზეზებზეძ? ვისი ამბიციის დაკმაყოფილება ნებავს? სადაა ძაღლის თავი დამარხული?

არა მგონია, მხოლოდ სომხებთან პირფერობა იყოს ეს, აქაოდა წმინდა ნინომ ჯერ ეს ქვეყანა გამოიარაო. იქნებ რუსებს უგორებენ კოჭს? — აკი ანდრია პირველწოდებულმა ჩვენს შემდეგ თითქოს მაშინდელ სკვითეთშიც იქადაგა, საბერძნეთშიც და ამ უკანასკნელში გამოასალმეს წუთისოფელს. იქნებ არც ამათი ლობიზმი არ არის ეს, არამედ იმათი, სადაც ვითომც და ჯვაროსნების წაღებული გრაალის თასი და წმინდა კვართის დუბლიკატია (ელიაზარ ებრაელის ჩამოტანილი უტყუარად სვეტიცხოველშია და საკითხავია, ნეტავ რამდენი სამოსელი ეცვა გოლგოთაზე ჯვარცმულ იესოს?ძ — იქნებ ფრანგებს ან სულაც იეჰოველებს ფხანენ გულს? მოდით და რამე გაუგეთ ამდენ ძაღლის თავს, უკვე უამრავ ცერბერად რომ გადაქცეულა ამ წარწერაში.

ბატონო მეცნიერო თუ მწერალო, ხელისუფლების კულტურის განყოფილებაში რომ ხართ უთუოდ, სად და რითაა საქართველო მეორე ქვეყანა. ვინაა ის იდუმალი პირველი? რატომაა ჩვენი რელიგია ისეთი „მოქნილი“, რომ თქვენისთანები ასეთების დაწერას ბედავენ დედაქალაქის შუაგულში?

**ზაზა ქინქლაძე**

◉ ინფორმაცია

## იზრდება დაღუპულთა რიცხვი

სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“-ში ჯანმრთელობის იაფი დაზღვევით უკვე 1900 მოქალაქე სარგებლობს.

კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, იაფი ჯანმრთელობის დაზღვევის მსურველებს „ალდაგი ბისიაი“-ს ოფისების გარდა, პოლისის შეძენა „საქართველოს ბანკის“ ფილიალებშიც შეუძლიათ.

დაზღვევის მისაღებად საჭიროა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი საბუთის, ხოლო 16 წლამდე მოქალაქეებისთვის — დაბადების მოწმობის წარდგენა.

პროგრამა პირველად ხორციელდება და გულისხმობს 3-დან 60 წლამდე მოქალაქეების ჯანმრთელობის ნებაყოფლობით დაზღვევას.

დაზღვევის საბაზისო პაკეტი მოიცავს უბედური შემთხვევის შედეგად საჭირო სამედიცინო მომსახურებას; გადაუდებელ სტაციონარულ, გადაუდებელ ამბულატორიულ და პირველადი ჯანდაცვის კომპონენტებს. პროგრამაში მონაწილე ყველა მსურველი თავისუფალია კერძო სადაზღვევო კომპანიის არჩევანში.

## გაყიდეს „დამწვრობის ცენტრი“, თანამშრომლებს ხელფასებს არ აძლევენ

„ლეიბორისტებმა“ დამწვრობის ცენტრთან საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც აქციაზე „ლეიბორისტების“ იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერი ბაზის მქონე დამწვრობის ცენტრი სახელმწიფომ 100 ახალი საავადმყოფოს პროგრამის ფარგლებში გაყიდა, ინვესტორს კი 8 თვის განმავლობაში თანამშრომლებისთვის ხელფასები არ მიუცია.

როგორც ძაგანია აცხადებს, შრომის კოდექსს არაერთი ხარვეზი აქვს.

## სოციალურად დაუცველ მოსახლეობას — უფასო სამედიცინო გამოკვლევა

ჯანდაცვის სამინისტრის ორგანიზებით, გარდაბნის რაიონის საავადმყოფოში სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და დევნილებს უფასო სამედიცინო გამოკვლევა უტარდებათ. ისინი მედიკამენტებსაც უფასოდ მიიღებენ.

გამოკვლევის პროცესს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გიორგობიანი და ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე დაესწრნენ.

ჩვენ გარდაბნის საავადმყოფოს ექიმებს ვთხოვეთ, რომ მედიკამენტები პაციენტებისთვის დანიშნულებისა და საჭიროების მიხედვით დაურიგონ. აქცია ერთჯერადი არ არის, მთლიანად საქართველოში მიმდინარეობს.

ინტერპრესნიუსი

**განცხადება**

სს „რეჰაუ+კო“-ს დირექტორებმა დოქტორ პაინრიხ მიხელმა და ტორსტენ შლუსტერმა მიიღეს გადაწყვეტილება სს „რეჰაუ+კო“-ს საქართველოს წარმომადგენლობის ლიკვიდაციის შესახებ.

განმეორებით გთხოვთ კრედიტორებმა მომმართოთ ლიკვიდატორს დავით კილურაძეს წარმომადგენლობის ოფისში მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის №154.

◉ პატივგება

# სამი დაჯილდოებული ეკატერინე

**სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტში“ ქვეყნის კეთილდღეობისთვის მზრუნველი ქალბატონები დააჯილდოვეს. საღამო საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდისა და ფონდ „დიალოგ ევრაზიის პლატფორმა-საქართველოს“ ინიციატივით გაიმართა. იმ დღეს ჯილდოები გადაეცათ: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ეკა ზღულაძეს, უშიშროების საბჭოს მდივანს ეკა ტყეშელაშვილს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ეკა შარაშიძეს.**

— ამ ტრადიციას რამდენიმე წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი, — განაცხადა ფონდ „დიალოგ ევრაზიის პლატფორმა-საქართველოს“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა გიული ალასანიამ, — ეს ჩვეულებრივ, გამოკითხვის საფუძველზე ხდება ხოლმე. წლეულსაც, გამოკითხვის შედეგად გადაწყდა, რომ სამი ქალბატონი, სამი ეკატერინე უნდა დაჯილდოვდეს.

ქალბატონი გიულის თქმით, ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს განათლებას, ქველმოქმედებას, ხშირად ატარებენ ოლიმპიადებს, შეჯიბრებებს სკოლის მოსწავლეებისთვის და



სტუდენტებისთვისაც. მთლიანობაში, ძალინ კარგი საქმე კეთდება.

სტუმრებს მიესალმა შავი ზღვის უნივერსიტეტის ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ფონდ „დიალოგ ევრაზიის პლატფორმა-საქართველოს“ კომიტეტის წევრი, ბატონი მესუთ ბოზქირი. მისი თქმით, ქალს დიდი როლის შესრულება შეუძლია ორ ურთიერთდაპირისპირებულ მხარეს შორის მორიგებაში. ეს პატრიოტიზმია. „ქალბატონები არიან სწორედ ჩვენი ქვეყნების კეთილდღეობის გარანტები. ვფიქრობ, სიმბოლურია, რომ ქალბატონებს გადავეცით ჯილდო. ნამდვილად გვჭირდება მათი სითბო, სინაზე, სიბრძნე იმისთვის, რომ მომავალს გაბედულად დავხვდეთ და უფრო მყარად დავდგეთ ფეხზე.“

ეკა ტყეშელაშვილმა მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორებს დაჯილდოებისთვის და დასძინა, რომ ქალბატონისთვის მარტივი არ არის დატვირთული გრაფიკი, რომ მას ხშირად უწევს კომპრომისი დედისა თუ მეუღლის როლსა და საქმიანობას შორის. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მძიმე ვითარების გამო თითოეული ჩვენგანის ძალისხმევაა საჭირო.

„მე და ჩემი კოლეგები ყოველდღიურად ვშრომობთ, ძალისხმევას არ ვიშურებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა უკეთესი იყოს,“ — განაცხადა ეკა შარაშიძემაც.

სამივე ქალბატონმა მადლობა გადაუხადა საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის საერთაშორისო ფონდს და ფონდ „დიალოგ ევრაზიის პლატფორმა-საქართველოს“ დაფასებისთვის და პატივისთვის.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული საელჩოების, საზოგადოების წარმომადგენლები.

**ნატა ნიზლაძე**

სურათზე: დაჯილდოების შემდეგ.

ფათიხ დემირის ფოტო.

2009 წლის 24 აპრილს დღის 14 საათზე გაიმართება ს/ს „მრეწვრკინიგზის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. 2008 წლის სამეურნეო ანგარიში;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
3. სხვადასხვა საკითხები.

მისამართი: კაიროს ქ. №36. ტელ. 71-17-38.

სამეთვალყურეო საბჭო

ქირავდება ფართი 200 კვ. მ. და 120 კვ. მ. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: უზნაძის ქ. №78. ტელ: 95-11-24, 95-53-66.

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი უთანაუგრძნობს ირაკლი ბეგოიძეს და მის ოჯახს მამის ჯემალ ირაკლის ძე ბეგოიძის გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◉ სულიერება

# მარიამ ღვთისმშობლის ხატის დაუჯდომლის შაბათი



**4 აპრილს, დიდი მარხვის მეხუთე შაბათს, საქართველოს სამოციქულო ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დაუჯდომელ გალობას აღასრულებს.**

...ძველმა ისრაელმა, როდესაც მეწამულ ზღვაში მტრის დაღუპვა ნახა, უფლის წინაშე სამადლობელი გალობა აღავლინა. მას შემდეგ ძველი აღთქმის ეკლესია ყოველწლიურად გალობდა ამ საგალობელს – როგორც ძლიერი მტრისგან დახსნის სათხოვარს. ახალი აღთქმის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც არაერთგზის გამოსცადა საკუთარ თავზე უფლის ყოვლისშემძლე ხელის წყალობა. უმძიმეს წუთებში მისი მტრები სასწაულებრივი შეწევნით მარცხდებოდნენ.

ჩვენი ეკლესია ამ ზეიმს აღასრულებს, რათა ზეციური დედოფლისადმი რწმენა განუმტკიცოს მრევლს. ღვთისმშობელი გვიხსნის ხილულ მტერთაგან, მით უმეტეს, რომ იგი მზად არის, უხილავ მტერთან ბრძოლაში შეგვეწიოს!

* * *

**დიდმარხვის მეხუთე კვირიაკე ღირსი მარიამ მეგვიპტელის ხსენების დღეა.**

**გიული ლიპარტია**

◉ ასოციაციები

## ახლა რა ვქნათ?



**ოტია იოსელიანი მოგვიწოდებდა გასული საუკუნის ბოლოს: „ეროვნულ ენას ქარი საიდანაც მოუბერავს, იქიდან უნდა ჩამოეფაროო“...**

ჩამოვეფარეთ კი არა, ბატონო ოტია, ამ ბოლო წლებში ყველა ლობე მოვურღვიეთ დედაენას. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ:

გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია;

გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა;

გაუქმდა პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;

გაუქმდა ყველა რადიო და ტელეგადაცემა, რომელიც ქართულ ენას ეძღვნებოდა...

შემცირდა ქართული ენის საათები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში...

ქართული აღარაა სავალდებულო საგანი უმაღლეს სასწავლებლებში...

და სხვა... და სხვა...

**ახლა რა ვქნათ, ბატონო ოტია, გვირჩიეთ რამე!..**

## თუ წარმოგიდგენიათ?



**გრიგოლ ორბელიანი გახსოვთ?:**

„აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მართალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!“

ამას ამბობდა „დროების“ ჟურნალისტებზე გაჯავრებული პოეტი...

თუ წარმოგიდგენიათ, რას იტყოდა გრიგოლ ორბელიანი, დღევანდელი „მოდური“ ჟურნალ-გაზეთები რომ წაეკითხა?

**მე ნამდვილად ვერ წარმომიდგენია...**

**გიორგი გოგოლაშვილი**

◉ სამეგრელოს მხარე

# ცაიშში არგენტინული ნიანგები მომრავლდებიან...

**ერთ დროს საყოველთაოდ ცნობილ ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის ბალნეოლოგიური კურორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, არგენტინულმა ნიანგებმა დაიდეს ბინა.** შპს „ჟაკარე და კომპანიმ“ სოფელ ცაიშში იყიდა მიწა, ბუნებრივი ცხელი წყლის ბაზაზე მოაწყო სასათბურე მეურნეობა და თანაც საქართველოში ახალ ბიზნესს – ნიანგების მოშენებას მიჰყო ხელი. „არგენტინიდან ჩამოვიტანეთ 4 კვერცხი და შარშან დეკემბერში გამოიჩეკნენ ერთი მამრი და 3 მდედრი. ისინი ამჟამად იმყოფებიან სპეციალურ სერპენტარიუმში. როგორც კი მომზადდება სპეციალური აუზები, გადავიყვანთ ღია ცის ქვეშ“ – ამბობს შპს „ჟაკარე და კომპანიის“ (ჟაკარე ნიანგს ნიშნავს) მთავარი სპეციალისტი ირაკლი ჩოკორაია.



მისი თქმით, მოსახლეობაში გავრცელებული პანიკა, თითქოს ნიანგები გაიქცევიან და ადამიანებს დაჭამენ, უსაფუძვლოა. „მინდა დავარწმუნო ყველა, რომ არაფერი საპანიკო არ არის. ცაიშში მოშენებული ნიანგები არ არიან აგრესიულნი, თანაც მომცრო ზომისანი არიან. ე. წ. „კაიმანის“ სახეობის. ნიანგების სიგრძე 1,20 სმ-ს არ აღემატება. ნიანგების ფერმას აქვს თავისი სტანდარტები და ჩვენც ამ სტანდარტებს ვიცავთ“ – აღნიშნა ირაკლი ჩოკორაიამ.

ბიზნესამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, რადგან ირაკლი ჩოკორაიას განმარტებით 8-9 წელიწადი მაინც დასჭირდება, რომ ნიანგების ბიზნესისაგან პირველი მოგება მიიღონ. ბიზნესი კი ის გახლავთ, რომ თურმე ევროპის ბაზრებზე 1 კგ. ნიანგის ხორცი 40 ევრომდე ღირს. ასევე ძვირად ფასობს მისი ტყავიც, ხოლო ნარჩენებისგან კი სუვენირები მზადდება.

შპს „ჟაკარე და კომპანი“ მხოლოდ ნიანგების მოშენებით არ არის დაკავებული. აქ მოჰყავთ ბაღჩეული კულტურები, კიტრი, პამიდორი, გაშენებულია უნიკალური ჯიშის ბამბუკი, რომლის სიგრძე 35 მეტრია, ხოლო დიამეტრი 40 სმ. კომპანიაში დასაქმებულია 60-მდე ადამიანი.

**ლადო ქირია**

◉ განცხადება

შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა“ აცხადებს აუქციონს 220 ტონა შავი ლითონის დაუმუშავებელი ჯართის და 230 კგ. ფერადი ლითონის სპილენძის ჯართის რეალიზაციის მიზნით. 1 ტონა შავი ლითონის დაუმუშავებელი ჯართის საწყისი ფასი შეადგენს 100 (ასიძ ლარს (დღგ-ს ჩათვლითძ. ბიჯი 2 ლარი: 1 კგ. ფერადი ლითონის სპილენძის ჯართის საწყისი ფასი შეადგენს 3 (სამიძ ლარს (დღგ-ს ჩათვლითძ, ბიჯი 0,2 ლარი;

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა წარმოადგინონ „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც განისაზღვრება მთლიანი ქონების საწყისი ფასის 10 პროცენტით (2269 ლარითძ. თანხა შეტანილ უნდა იქნას შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის“ ანგარიშზე სს „კორ-სტანდარტ ბანკი“ ბათუმის ფილიალი, კოდი 220101945; ანგარიშის №4133548.

აუქციონი გაიმართება შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის“ ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, 2009 წლის 6 მაისს, 12 საათზე. განცხადებები მიიღება ამა წლის 6 აპრილიდან 4 მაისის 17 საათამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 5-55-10; 5-55-30.

**შპს „ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის“ დირექცია**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

**ივან ივანიჩის დაკვირვებიდან: მეზობელი ნამდვილი ჯინია: საკმარისია, გახსნა არყის ბოთლი, რომ იგი მაშინვე შენთან გაჩნდეს.**

* * *

**– მამი, რით განსხვავდება ამოცანა პრობლემისგან?**

**– ამოცანა – ეს არის ის, როცა გინდა მიზანში მორტყმა, პრობლემა კი ის გახლავთ, როცა შენ გიმიზნებენ.**

* * *



**– როგორც ჩანს, მივაღწიე სრულ ფინანსურ სტაბილიზაციას.**

**– რაში გამოიხატება ეს?**

**– იმაში, რომ ფული არ მქონია, არ მაქვს და, როგორც ჩანს, არც მექნება.**

* * *

**– მართალია, რომ თქვენ ყველაზე საშიში კაცი ხართ?**

**– არ ვიცი, მაგრამ ის კია, რომ, როცა ღამით სასაფლაოზე დავდივარ, არავინ იღებს ხმას.**

* * *

**– რატომ არის, რომ ქალები ბევრად მეტ დროსა და სახსრებს უთმობენ გარეგნობას და არა ინტელექტის განვითარებას?**

**– იმიტომ, რომ ბრმა მამაკაცები ბევრად მეტია სულელ კაცებთან შედარებით.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.